ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

14 მაისიდან! „ახალი თაობა“ + ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის მეორე ტომი
8 ლარი




სამშაბათი, 14 მაისი, 2013 №112 (6113) ფასი: 30 თეთრი

# ზაზა დავითაია: „ჩვენს დაპატიმრებას უსუფაშვილი ტაშს უკრავდა“



გვ.3 ყოფილი პოლიტპატიმრები პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ

## დავით უსუფაშვილი: „მარგველაშვილის კანდიდატურა არ შეიცვლება“ გვ.3

უშიშროების სამინისტრო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდება



## როგორ სჯიდა ბაჩო ახალაია სამხედროებს გვ.6

## ნანა კაკაბაძე: „სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდება“ გვ.4





## ნანა დევდარიანი: „ოპოზიციას ვურჩევ, პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძე დაასახელოს“ გვ.4

## კახა კალაძე: „პიროვნულ თანაგრძნობას გამოვხატავ გელა ხვედელიძის მიმართ“ გვ.7



გვ.2 პეტრე მამრაძე: „სააკაშვილსა და მერაბიშვილს უვადო პატიმრობა ეკუთვნით“

გვ.6 გახდება თუ არა მოდინახე მეორე მთაწმინდის პარკი?!




9 მაისიდან! „ახალი თაობა“ + ფროიდი
8 ლარი




ISSN 1987-9385

5 კახეთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი ჯგუფის კიდევ ერთი წევრი დააკავეს

6 დეპუტატების ცემას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია

5 სააკაშვილი ივანიშვილს გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებს

10 გია ხუხაშვილი გამოძიებას ითხოვს

# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილსა და მერაბიშვილს უვადო პატიმრობა ეკუთვნით“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის დირექტორ პეტრე მამრაძესთან

*— სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსი ტურისტების ავტომანქანები მოძრაობენ საქართველოში, ავტომანქანების მინებზე კი გამოსახული აქვთ საქართველოს რუკა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარეშე. არის თუ არა ეს პროვოკაცია?*

— ეს ნამდვილად არ არის პროვოკაცია. ეს ჩვენთვის გაცილებით უფრო სერიოზული და მძიმე ვითარების გამოვლინებაა: კრემლის ჩეკისტური რეჟიმის მიერ მართულმა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში ლანგარზე მიართვა რუსეთის მთავრობას საქართველოს ოკუპაციის საშუალება; ასევე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობისა და იქ სამხედრო ბაზების განთავსების საშუალება. რუსეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და ფლობს თერმობირთვული იარაღისა და კონტინენტშორისი რაკეტების სრულ არსენალს. დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია შეაცვლევინოს რუსეთის მთავრობას მისი გადაწყვეტილება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და ჩვენი ერი განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მოიმკის სააკაშვილის და მისი თანამზრახველების დანაშაულის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რუსეთის მთავრობა კი ზრუნავს ამ გადაწყვეტილების პოპულარიზაციისათვის. სწორედ ამიტომ რუსეთში დამზადებულ ყველა რუკაზე საქართველო გამოსახულია ამ რეგიონების გარეშე.

*— როგორია თქვენი აზრი სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობაზე და არგუმენტები გაქვთ ამასთან დაკავშირებით?*

— ეს გადაწყვეტილება აუცილებელია და უაღრესად სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. წლების განმავლობაში სააკაშვილი უდიდეს ზიანს აყენებდა (და ახლაც აყენებს) საქართველოს საერთაშორისო იმიჯს. მსოფლიოში დამკვიდრდა წარმოდგენა სააკაშვილზე, როგორც მარგინალ, პრაქტიკულად შეურაცხად ადამიანზე. დაგ ბენდოუმ სააკაშვილი „იდიოტ ბავშვს“ შეადარა, მის რეჟიმს კი



„უპასუხისმგებლო ავტორიტარიზმი“ უწოდა; უოლტერ რასელ მიდმა სააკაშვილს „საქართველოს ყველაზე საშინელი მტერი“ შეარქვა; წლების განმავლობაში სააკაშვილის ყველაზე რბილი შეფასება ვაშინგტონსა და ბრიუსელში იყო „თავის ტკივილი“ და „ბუასილი”. სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს (ისევე, როგორც ჩერქეზების გენოციდის აღიარებას) მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ აპირებს. 2011 წლის თებერვალში აშშ-ს დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლაპერმა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ „დაძაბულობას (ჩრდილო კავკასიაში) აძლიერებს საქართველოს ღია მცდელობები დაამყაროს კავშირი რუსეთის ჩრდილო კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებთან”. ახლახან საქართველოში ჩამოსული იყო და ივანიშვილს შეხვდა აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელი რობერტ მიულერი. ოფიციალურად აღინიშნა, რომ მისი ვიზიტის მიზანი იყო კონსულტაციები სოჭის ოლიმპიადაზე სპორტსმენების უსაფრთხოების საკითხებზე. დემოკრატიულმა მსოფლიომ შვებით და კმაყოფილებით მიიღო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში ქვეყნის მონაწილეობის შესახებ. მთელი მსოფლიოსათვის ეს ნიშანია იმისა, რომ საქართველოში დასრულდა „იდიოტი ბავშვის უპასუხისმგებლო ავტორიტარიზმი”.

*— მმართველი კოალიციის საგარეო კურსი გარკვეულწილად უფრო ბუნდოვანი გახდა. თან ევროპაში ინტეგრაციაზე და მაპის მიღებაზე საუბრობს ჩვენი ხელისუფლება, თან რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე. ეს იწვევს დაბნეულობას საზოგადოებაში. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?*

— „სააკაშვილისათვის მაპის მიცემა გამოიწვევს იმას, რომ ის მაშინათვე დაიწყებს სამხედრო ოპერაციებს აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში და ეცდება მთელი დასავლეთი ჩაითრიოს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში“ — აცხადებდნენ დასავლეთის ლიდერები ბუქარესტის სამიტამდე 2008 წლის გაზაფხულზე და მაპიც, ცხადია, ვერ მივიღეთ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე დასავლეთის პოზიცია უცვლელია: დასავლეთი გვეუბნება, რომ ჩვენთვის ქმედითი დახმარების გაწევას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვაგვარებთ ურთიერთობას ჩვენს გიგანტ მეზობელთან — რუსეთთან. გვეუბნებოდნენ და ახლაც გვეუბნებიან, რომ ქვეყანა, რომელიც უპირისპირდება რუსეთს, მიუღებელია დასავლეთისათვის. ასე რომ, ევროინტეგრაცია მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც დასავლეთს დავუჯერებთ და რუსეთთან ნორმალურ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას მივაღწევთ. ცრუპატრიოტიზმი ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია. სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა მრავალჯერ დაასაბუთეს ამ ძველი თეზისის სისწორე. ნაძირალები უნერგავდნენ ჩვენს მოსახლეობას მტკნარ სიცრუეს, რომ ჩვენ წინაშე არჩევანია: ან ევროინტეგრაცია, ან რუსეთში დაბრუნება და უმალავდნენ სიმართლეს: რომ ევროინტეგრაციის პირობად დასავლეთი რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის მოგვარებას გვიყენებს. სწორედ ამიტომ და ნაძირალების განუწყვეტელი პროპაგანდის გამო, ზოგიერთებს ეჩვენებათ, რომ ახალი საგარეო კურსი ბუნდოვანია. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს მთავრობის სწორ კურს.

*— ლაფანყურის ოპერაციის ძიება სერიოზულად მიმდინარეობს. ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა ეჭვი, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ტერორისტულ ჯგუფებს ამზადებდა. თქვენ თუ გსმენიათ ამაზე რაიმე და ხომ არ იყო ეს ივანიშვილის მხრიდან დაუფიქრებელი განცხადება?*

— თავიდანვე ცხადი იყო, რომ სააკაშვილის რეჟიმმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ დეზინფორმაციას ავრცელებდა რეჟიმი ლაფანყურის ტრაგედიის პირველ დღეებში. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ახალ მთავრობას მაშინვე დაეწყო სერიოზული გამოძიება და ივანიშვილსაც შესაბამისი განცხადება ადრე გაეკეთებინა. ასეთ საქმეებში დაყოვნება სერიოზულ და ქვეყნისათვის საზიანო ეჭვებს ბადებს. რატომ უნდა სჭირდებოდეს ომბუდსმანს იმის განცხადება, რომ თუ მთავრობა გამოძიებას ისევ არ დაიწყებს, ის გამოაქვეყნებს იმ მასალებს, რომლებიც ჯერ არ გამოუქვეყნებია გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე? მე ბევრი მსმენია ამ საშინელ დანაშაულზე კარგად ინფორმირებული ადამიანებისაგან და ჩემი ინფორმაცია ძირითადად ემთხვევა ომბუდსმენის ანგარიშს. ასევე, ჯერ კიდევ 2009 წლიდან მსმენია იმის შესახებ, რომ სააკაშვილის დავალებით საქართველოში ჩამოჰყავდათ მოხალისე ჩრდილოკავკასიელები (მათ შორის მათი დიასპორების წარმომადგენლები) და დივერსანტ-ტერორისტებად ამზადებდნენ.

*— ევროპაში ივანიშვილის გამოსვლაზე მინდოდა თქვენი კომენტარის გაგება. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ გამოსვლაზე?*

— ივანიშვილის ამ გამოსვლამ უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მან უშუალოდ, გულახდილად და გულწრფელად ილაპარაკა ჩვენს პრობლემებზე და მიზნებზე. სააკაშვილის მარგინალური დემაგოგიისა და ტყუილების შემდეგ, ევროპული აუდიტორიისათვის ივანიშვილის მართალი გამოსვლა უაღრესად სასარგებლო არის ჩვენი სახელმწიფოსათვის.

*— ნაციონალები პრაიმერის საშუალებით სამ კანდიდატს გამოყოფენ: დავით ბაქრაძეს, ვანო მერაბიშვილს და გია ბარამიძეს. ამ სამიდან უგულავას ბაქრაძე სურს პრეზიდენტად. თქვენ ამ სამიდან რომლის თვისებები მიგაჩნიათ ამ პოსტისთვის შესაფერისად?*

— სააკაშვილთან და ადეიშვილთან ერთად მერაბიშვილი ავტორიტარული კლეპტოკრატიის და სადისტური სისტემის შემქმნელი არის. ჩადენილი დანაშაულობების ნაწილიც რომ დაუმტკიცდეს, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეს. ბაქრაძე და ბარამიძე წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ რეჟიმს და დღესაც ემსახურებიან რეჟიმის ამაზრზენ ნარჩენებს. ისინი რეჟიმის თავკაცების თანამზრახველები არიან. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური პირების მიერ ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცის გატეხვა უმძიმესი დანაშაულია. ასე რომ, მსჯელობა შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომელმა მათგანმა რა დანაშაული ჩაიდინა.

*— მმართველი კოალიციიდან სავარაუდო კანდიდატები ბევრი დასახელდა, თუმცა საბოლოო არჩევანი გიორგი მარგველაშვილზე შეჩერდა. თქვენ ვის უფრო ემხრობოდით — ალასანიას, არმაზ ახვლედიანს, სალომე ზურაბიშვილს, მარგველაშვილს, კალაძეს დვალს თუ მაღრაძეს?*

— არ გამოვარჩევ არავის. არა მხოლოდ იმიტომ, რომ თითქმის ყველას პირადად ვიცნობ, არამედ იმიტომაც, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ამოქმედდება ახალი კონსტიტუცია და პრეზიდენტს აღარ ექნება ის უფლებები, რაც სამწუხაროდ და ქვეყნისათვის სავალალოდ ჰქონდა ამ წლების განმავლობაში.

## თავდაცვის სამინისტროში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გრძელდება

თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გრძელდება.

სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, შესარჩევი კონკურსის მესამე ეტაპი თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე გასაუბრებებით დაიწყო. საჯარო კონკურსის მესამე ეტაპი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და საბოლოო შედეგები მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

საჯარო კონკურსის მესამე ტურში 77 კონკურსანტი მონაწილეობს, რომლებიც მეორე ტურის შედეგად გამოვლენილ 298 აპლიკანტისგან შეირჩნენ.

**ნიუსპრესი**

## საია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმეზე დაპატიმრებულთა მიმართ ზეწოლაზე საუბრობს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, გლდანის დაწესებულებაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმეზე პატიმრობაში მყოფი შვიდი პირი მოინახულა.

ორგანიზაციის განცხადებით, ყველა მათგანთან დეტალური გასაუბრების საფუძველზე, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც საგამოძიებო ორგანოებისა და საზოგადოების ყურადღებას საჭიროებს.

„პატიმრობაში მყოფი პირებიდან ოთხი აცხადებს, რომ ე.წ. მოდულის შენობაში დაკითხვის დროს, პროკურორ შოთა რიჟამაძისა და გამომძიებლების მხრიდან მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და სიტყვიერი შეურაცხყოფა ხორციელდებოდა. დაკითხვა საღამოს საათებში იწყებოდა და ზოგჯერ 8 საათის განმავლობაშიც კი გრძელდებოდა. პატიმრობაში მყოფი პირების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოდულის შენობაში დიდი ხნის განმავლობაში უწევდათ ყოფნა, უშუალოდ დაკითხვის პროცესი მხოლოდ საათი ან საათნახევარი გრძელდებოდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანის დაკითხვა მოწმის სტატუსით და ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. პატიმრობაში მყოფმა პირებმა საქმეში მონაწილე პროკურორის შოთა რიჟამაძის მხრიდან ზეწოლაზე სასამართლოს წინაშეც განაცხადეს და მისი საქმიდან აცილებაც მოითხოვეს, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. ასევე, უცნობია მოჰყვა თუ არა რაიმე რეაგირება დაკავებული პირების მიერ ზეწოლასთან დაკავშირებულ განცხადებებს“ — აცხადებენ საიაში.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ დაპატიმრებულ პირებზე ზეწოლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები გამოძიებული უნდა იქნეს.

„ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პირის მოწმის სტატუსით დაკითხვისას, მითუმეტეს, როდესაც აღნიშნულ ჩვენებას შესაძლოა პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყება მოჰყვეს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადვოკატის მონაწილეობა. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულება კი სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი უფლების დარღვევას წარმოადგენს.

საქმის რეზონანსულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა გახდეს“ — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძემ თურქეთის ელჩს მიუსამძიმრა



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ, გუშინ, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ რეიჰანლიში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით, თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ლევენთ მურად ბურჰანს, სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

„მინდა გულითადი სამძიმარი და თანადგომა გამოგიცხადოთ თქვენ და მთელ თურქ ერს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ და პირადად ჩემი სახელით იმ ტრაგიკულ, ბარბაროსულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, რაც რეიჰანლიში მოხდა. ამ მძიმე წუთებში, ასევე მინდა გამოვთქვა ჩემი სამძიმარი და მწუხარება უდანაშაულოდ დაღუპულთა ოჯახების მიმართ და სრული გამოჯანმრთელება ვუსურვო დაშავებულთ .

როგორც ცნობილია, საქართველო აქტიურად ემხრობა მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, რაც მაძლევს სათანადო საბაბს გისურვოთ წარმატება ამ 21-ე საუკუნის „შავ ჭირთან“ ბრძოლაში, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია“-ნათქვამია სამძიმრის წერილში. როგორც ცნობილია ქალაქ რეიჰანლიში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად 46 ადამიანი გარდაიცვალა და 100-მდე ადამიანი მძიმედ დაშავდა.

**ნიუსპრესი**

## ფილიპ დიმიტროვი: „დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცეს“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გელა ხვედელიძის დაკავებასთან დაკავშირებით, დღეს მედიასთან კომენტარი ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, ფილიპ დიმიტროვმაც გააკეთა.

„მე არ ვარ იმ პოზიციაზე, რომ საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით შეფასებები გავაკეთო, თუმცა მე აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ დამნაშავე პასუხისგებაში მიეცეს“— განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრებთან შეხვედრის დროს ფილიპ დიმიტროვმა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა დავითაია: „ჩვენს დაპატიმრებას უსუფაშვილი ტაშს უკრავდა“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებს ცუდი პერიოდი დაუდგათ. ქვეყანაში თავისუფლად პრეზიდენტიც კი ველარ გადაადგილდება. 10-11 მაისს მიხეილ სააკაშვილი თსუ-სა და ილიაუნის სტუდენტებს შეხვდა. ორივე შეხვედრაზე პრეზიდენტი ყოფილმა პოლიტპატიმრებმა სტვენით და შეძახილებით შეაცილეს. ყოფილი პოლიტპატიმრები ახალ ხელისუფლებაზეც განაწყენებული არიან.

რას საყვედურობენ ახალ ხელისუფლებას, უნდა ჩატარდეს თუ არა თბილისში სექსუალური უმცირესობების აღლუმები და რა მიზანს ისახავდა სააკაშვილთან მივარდნა ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი, ყოფილი პოლიტპატიმარი და უფლებადამცველი ზაზა დავითაია ესაუბრება.

**ზაზა დავითაია:**

– 10-11 მაისის აქციების მიზანი სააკაშვილის და სტუდენტების შეხვედრის ჩაშლა არ ყოფილა. ჩვენ იმის დემონსტრირება გვინდოდა, რომ პრეზიდენტი საქართველოს მოსახლეობას ეზიზღება. მას იმდენი ბოროტება აქვს დათესილი, რომ ქვეყანაში თავისუფლად ველარ გადაადგილდება. ის ჯიუტად აგრძელებს ყალბი პიარის აგორებას, რომ თითქოს ყველაფერი არის კარგად, თითქოს მას ტაშით ეგებებიან და ხალხს ისევ უყვარს. იმ აქციებით ეს სიყალბეც გავფანტეთ. მას აღარ მივცემთ იმის უფლებას, რომ გულუბრყვილო საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში. ამიერიდან ის მოიმკის იმას, რაც დათესა. ეს იქნება ზიზღი.

***– სააკაშვილი ხშირად დადის აქეთ-იქით. ყველგან აპირებთ მის დახვედრას?***

– სადაც მივწვდებით, აუცილებლად გავაკეთებთ. მის ფეხდაფეხ დევნას ალბათ ვერ შევძლებთ. თუმცა მის მიერ დათესილი ბოროტება თავისთავად გამოიწვევს, რომ მას ყველგან დახვდნენ და უსტვინონ. ჯერჯერობით მოსახლეობამ ბოლომდე ვერ დაძლია შიში. მოსახლეობა შიშის კომპლექსს ძალიან მალე დაძლევს. მაშინ კი სააკაშვილი საქართველოში გადაადგილებას ციხეში ჩაჯდომას ამჯობინებს.

***– სააკაშვილი კი ამბობს, რომ ძველი რევოლუციონერი ვარ და სტვენით ვერ შემაშინებენო.***

– მე კარგად ვიცი, როგორი ადამიანები უსტვენენ. სააკაშვილს დაუსტვინეს და ამით შეახსენეს, რომ თავად არის ასეთი და თავად უსტვენს. მას სტვენის მართლაც არ შეეშინდებოდა. სამაგიეროდ ზუსტად ვიცი, რომ თვითმფრინავის ზუზუნის ძალიან ეშინია. იმდენად ეშინია, გარშემო ძალიან ცუდ სუნს აყენებს ხოლმე. ზოგჯერ შიშისგან ჰალსტუხსაც კი მიირთმევს. სტუდენტებთან შეხვედრაზე მას ჰალსტუხი არ ეკეთა. ყველაზე მეტად მას ქართველი ხალხისთვის თვალებში ჩახედვის ეშინია.

***– მის რევოლუციონერობაზე რას იტყვით?***

– ეგ თავად თვლის თავს რევოლუციონერად. სტუდენტებთან შეხვედრისას მან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რევოლუციონერი ჩე გევარა ნაბიჭვრად მოიხსენია. არადა, ის იყო ნამდვილი რევოლუციონერი. სააკაშვილი არ გახლავთ რევოლუციონერი. მას ლანგრით მირთმეული ხელისუფლების გამორთმევა ეხერხება კარგად. 2003 წელს მან სწორედ ასე გამოართვა ლანგარი თავის სულიერ მამას, ედუარდ შევარდნაძეს. დღემდე ამ ლანგარს გადააყოლა საქართველო.

***– სტუდენტებთან შეხვედრაზე***



***სააკაშვილმა ბევრი სისულელე და ტყუილი თქვა. ამტკიცებს, რომ ამ 9 წლის განმავლობაში ქუჩაში არავინ არ ჩაუხოცავთ.***

– ხალხური სიბრძნე გვასწავლის, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება. სააკაშვილი ამბობს, არავინ ჩაგვიცხრილავსო, მაგრამ რა ვუყოთ ათობით შაოსან დედას, რომლებიც საკუთარი შვილების დახოცვაში პირადად სააკაშვილს ადებენ ხელს. რა ვუყოთ ათობით საფლავს, სადაც ეს ბიჭები განისვენებენ. პირადად პრეზიდენტს არავინ მოუკლავს, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც ის არის. დამნაშავეა იმიტომ, რომ მან გააკეთა განცხადება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ. მან გასცა ჩახოცვის ბრძანება. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ის ახალგაზრდები კრიმინალები იყვნენ თუ არა. კრიმინალის უფლებებიც დასაცავია. არავის არა აქვს სხვისი სიცოცხლის ხელყოფის უფლება. მით უმეტეს, არანაირი კრიმინალი არ ყოფილა გირგვლიანი, რომელიც სააკაშვილის გარემოცვამ წამებით მოკლა. ყველამ კარგად ვიცით, როგორ დახვრიტეს გენერალი გია კრიალაშვილი. რაც მაშინ მოხდა, ეს სასწაულით გადარჩენილ კობა ოთანაძეს ჰკითხეთ. ყველამ ვიცით, როგორ ჩაცხრილა პატრულმა ქუჩაში ზურა ვაზაგაშვილი და გიორგი გამცემლიძე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო გურამ შარაძის დაღვრილი სისხლი იკმარებს იმისთვის, რომ ქართველმა საზოგადოებამ სააკაშვილს უწოდოს მკვლელი. მას 37 კი არა, ბევრად მეტი ადამიანი ჰყავს ჩახოცილი. ის იმ ადამიანების სიკვდილშიც არის დამნაშავე, რომლებმაც შვილის დაპატიმრება ვერ აიტანეს და აღესრულნენ, რომლებმაც ქონების წართმევა ვერ აიტანეს და აღესრულნენ, რომლებმაც სახელის და ღირსების გატეხვა ვერ აიტანეს და აღესრულნენ. ასეთნაირად რომ მივყვეთ, სააკაშვილის კისერზე ასეულობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა აღმოჩნდება. სააკაშვილმა შესაძლოა მოატყუოს ადამიანების ნაწილი, მაგრამ ღმერთის წინაშე როგორ აპირებს ამ ცოდვების დამალვას? მას აუცილებლად მოეკითხება!

***– დარწმუნებული ხართ, რომ მოეკითხება?***

– უკვე დაწყებულია ეს პროცესი. ის სიცოცხლეშივე იქცა ლეშად. მისი გამოჩენა საყოველთაო ზიზღს იწვევს. ასეთი ადამიანი ან სინანულში უნდა გადავარდეს, ან საერთოდ გადაიხვეწოს ქვეყნიდან.

***– თქვენ და თქვენი მეგობრები უკვე რამდენიმე თვეა ითხოვთ პოლიტპატიმრის სტატუსს. ამაზე პარლამენტი უარს გეუბნებათ. სამაგიეროდ პარლამენტის თავმჯდომარე მზადაა, ნაციონალებს აპატიოს. რა ხდება, გამარკვიეთ, დავიჯერო, თქვენ ნაციონალებზე მეტი დანაშაული გაქვთ ჩადენილი?***

– ჩვენს დაპატიმრებას ხელი მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა მოაწერეს. ჩვენს დაპატიმრებას ტაშს უკრავდა დავით უსუფაშვილი და რესპუბლიკური პარტია. ტაშს უკრავდნენ მათ ორბიტაზე მყოფი „ლიბერასტული“ ორგანიზაციები და არასამთავრობოები. ახლო მომავალში მათ ჩამოთვლასაც დავიწყებ. როგორც ვატყობ, ისინი ამ საქციელს არ ნანობენ. უსუფაშვილი ბიძინა ივანიშვილის და ხალხის ძალისხმევის ხარჯზე სრულიად დაუმსახურებლად მოგვევლინა პარლამენტის თავმჯდომარედ. ის ბოროტად სარგებლობს თანამდებობით და იმ ადამიანების უფლებებს არღვევს, რომელთა წამებამაც ის ხელისუფლების სათავეში მოიყვანა. პარლამენტის თავმჯდომარეს შევახსენებ, რომ სააკაშვილის საერთაშორისო იმიჯის შერყევა ჩვენი, პოლიტპატიმრების დამსახურებაა. ჩვენ მიმართ უსუფაშვილის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, არის უმადურობა. ცოტა უფრო თუ ჩავუღრმავდებით, ეს არის დანაშაული. რაც შეეხება უსუფაშვილის მხრიდან მიტევებაზე საუბარს, ეს არის სასაცილო.

***– რატომ არის სასაცილო?***

– ის თავისი საქციელით ისე შორს არის მართლმადიდებლობისგან, როგორც მე რომელიმე ამერიკული სექტისგან ვარ შორს. ამდენად, მისი მხრიდან მიტევებაზე საუბარი ღიმილის მომგვრელია. მიტევება ჩვენ, გატანჯულ ადამიანებს შეგვიძლია. კარგად ვიცით, რომ ამ მიტევებით ჩვენი სულის ცხონებისთვის გადავდგამთ ნაბიჯს. უსუფაშვილს კი მიტევება რატომღაც ცალსახად წარმოუდგენია. ის მიუტევებს მათ, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ამასთან, პოლიტპატიმრების რეაბილიტაციას არ აპირებს. ეს არის ნონსენსი. და ეს არის უსუფაშვილის რეალური ცნობიერება. ჩემი აზრით, ასეთი ადამიანი პარლამენტის სპიკერის პოსტზე არ უნდა იყოს. მე თქვენი გაზეთის მეშვეობით მას კითხვას დავუსვამ. ჩვენთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მონიჭებაზე უარს თუ ხელისუფლების დავალებით გვეუბნება, მაშინ დროზე გვითხრას ამის შესახებ. არ გვინდა, რომ მასზე გადავტეხოთ ჯოხი და ჩვენი რისხვა მივმართოთ სწორად. თუ უსუფაშვილი ამ გადაწყვეტილებას პიროვნულად ღებულობს, მას არავინ არ ეკითხება. მოდი, მან შესაბამისი კურსები გაიაროს, მღვდლად ეკურთხოს და ცოდვები ვისაც უნდა, იმას მიუტევოს.

***– ისე, არა აქვს პატიების უფლება?***

– ისედაც აქვს პატიების უფლება. ოღონდ ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით ნურავის ნუ აპატიებს. განსაკუთრებით იმათ, ვინც ჩვენ ტანჯვა მოგვაყენა. მე ძალიან კარგად ვიცი, ვის შეიძლება ვაპატიო და ვის არა.

***– ზემოთ თქვით, მზად ვართ, ვაპატიოთო.***

– მე მზად ვარ, ყველა ჩემს მტანჯველს შევუნდო. მაგრამ ჩემს მტანჯველს არ მივუტევებ იმ დანაშაულს, რაც მან სახელმწიფოს წინაშე ჩაიდინა. სანამ ამ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგება წესრიგი არ დამყარდება. და ასეთი საშინელებები ნებისმიერ დროს შეიძლება განმეორდეს.

***– პოლიტპატიმრის სტატუსთან დაკავშირებით თუ აპირებთ ბრძოლის გაგრძელებას?***

– რა თქმა უნდა, ვაპირებთ. ჩვენ სრული გაგებით ვეკიდებით ხელისუფლების კურსს. ამასთან, ვამბობ, რომ ამ ხელისუფლებაზე ვარ განაწყენებული. ყველაზე მეტად მისი უმადურობის გამო. ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს არ ვითხოვთ. ჩვენ მხოლოდ რეაბილიტაციას ვითხოვთ. ჩემი სტატუსი ახლა გათანაბრებულია ციხიდან გამოსულ კრიმინალებთან. ვიღაცებს პოლიტპატიმრის სტატუსი მიაკუთვნეს. ჩვენ ეს სტატუსიც კი არა გვაქვს. არადა, მე სწორედ პოლიტიკური ნიშნით დამაკავეს. მე და ჩემს მეგობრებს არც ბრალი გვიღიარებია და არც მოგვინანიებია. რა გუნებაზე უნდა დავდგე, ერთი მითხარით? ასევე არიან სხვა ადამიანებიც. მე უსუფაშვილს ვაფრთხილებ, რომ შეიძლება მთელი ჯოხი გადატყდეს მასზე. სააკაშვილზე უარესი რისხვა დაატყდება მას. ის ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული უკანონობის ბოლო ინსტანციაა.

***– მოდით, თემა შევცვალოთ. 17 მაისს თბილისში ლგბტ ორგანიზაციები აქციას მართავენ. ამ აქციის წინააღმდეგ უამრავი ადამიანი გამოვიდა. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ, უნდა ჩატარდეს თუ არა ეს აქცია?***

– ეს აქცია არ უნდა გაიმართოს! ძალიან მარტივად ავხსნი, რატომაც. ყველას გაგვაჩნია სექსუალური მიდრეკილებები, რომელიც მორალის და ზნეობის ფარგლებში ჯდება. მაგრამ რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვაკეთებთ ოჯახებში, ჩვენს საყვარელ ადამიანებთან თუნდაც საბნის ქვეშ, ამის აფიშირება ელემენტარულად მიუღებელია. ნორმალური ადამიანი ხმამაღლა არ დაიწყებს იმის ძახილს, ცოლს ასე და ასე ვუქნიო. არავინ ლგბტ ადამიანებს არ სდევნის. მათ არავინ არ უკრძალავს იმის კეთებას, რისი სურვილიც აქვთ. მაგრამ ვერც მე წამართმევენ იმის უფლებას, რომ მათი ცხოვრების წესს ვუწოდო უზნეო. ეს ადამიანები, კეთილი ინებონ, და დაეტიონ თავიანთ სახლებში და საბნებში. რაც უნდა, ის აკეთონ. არავინ არ დევნის მათ იმის გამო, რომ მამაკაცი მამაკაცთან წვება.

***– უფლებადამცველისგან ასეთი განცხადება სხვაგვარად იქნება აღქმული.***

– შეიძლება იყო ექიმი, მაგრამ გეზიზღებოდეს განგრენიანი ფეხი, რომელსაც ასდის სუნი. ვარ უფლედამცველი, მაგრამ არ მომწონს ლგბტ ადამიანების ცხოვრების წესი.

***– ამის გამო არ დაიცავთ მათ უფლებებს?***

– საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უსამართლოდ დაჩაგრული არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანსაც დავიცავ. მაგრამ მათ მიერ აქციის ჩატარებას არ მივესალმები. ის, რის გაკეთებასაც ეგენი აპირებენ, არის უზნეო ცხოვრების პროპაგანდა და როცა ამის რეკლამირება ხდება, ამით ჩემი და ჩემი შვილების უფლებები ირღვევა. 17 მაისს ლგბტ ორგანიზაციები უფლებების დასაცავად არ გამოდიან ქუჩაში, მათ სურთ არეულობის მოწყობა.

***– არეულობა რად უნდათ?***

– ყურადღების მისაპყრობად. განსაკუთრებით უცხოელი მფარველების ყურადღების მიპყრობა სურთ. ამით ისინი დაფინანსებას მიიღებენ. სურთ საქართველო წარმოაჩინონ ისეთ ქვეყნად, სადაც თითქოს სექსუალური უმცირესობების უფლებები ირღვევა. თვით სააკაშვილის დროსაც კი არ დარღვეულა მათი უფლებები. არც ახლა არ დაირღვევა მათი უფლებები. ისინი თავიანთ ორიენტაციას საზოგადოებას ცხვირში ჩრიან და აღიზიანებენ. ამასთან, გვაძალებენ, აღიარეთ, რომ ჩვენ ვართ ნორმალურები, ხოლო თქვენ – არანორმალურები. მათი ცხოვრების წესი ჩემთვის მისაღები ნორმა არასდროს გახდება.

***– რამდენიმე ორგანიზაცია საწინააღმდეგო აქციის გამართვას აპირებს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ასეთი აქციის გამართვა აუცილებელია. იმ აქციაზე უნდა დაიგმოს უზნეობა. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და ლგბტ პირებს აქციის მოსაწყობად გამოუყოს მშვიდი ადგილი. ჩვენ, უმრავლესობას მოგვეცეს პოზიციების დაფიქსირების უფლება. ჩვენ უფლებებსაც გაუფრთხილდეს და გააფრთხილოს ისინიც, რომ მათ პროვოკაციებს ცუდი შედეგი მოჰყვება. აქვე მინდა შევეხო ერთ ცუდ ტენდენციას. ეს უზნეო ადამიანები ცდილობენ, ფარად აიფარონ ევროკავშირის ქვეყნების ელჩები. ყველა ის ელჩი, რომელიც ასეთ ადამიანებს დაუდგება გვერდზე, მიჩნეულ იქნება პროვოკატორად და არეულობის წამხალისებლად. ამ ელჩებმაც კარგად იციან, რომ საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა უფლებები არ ირღვევა. ჯანსაღი ადამიანი ასეთ უკუღმართობას არ მიესალმება. ელჩებმა კიდევ საკუთარ ქვეყნებში მიხედონ უზნეობას.

# დავით უსუფაშვილი: „მარგველაშვილის კანდიდატურა არ შეიცვლება“

## უშიშროების სამინისტრო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდება

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თამადობით ამტკიცებს, რომ მეოცნებეები საპრეზიდენტო კანდიდატს შეცვლიან. გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას ბევრი მიიჩნევს არასერიოზულად.

ამ ჭორებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, გუშინ კომენტარი გააკეთა.

– დაუჯერებელია რომ პოლიტიკური ოპონენტი წუხდეს იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“, უფრო ძლიერი კანდიდატი არ დაასახელა. სერიოზული კომენტარი გამიჭირდება იმ განცხადებებზე, რომლის შინაარსი თითქოს ისაა, რომ მათ ჩვენზე მეტად უნდოდათ უფრო ძლიერი კანდიდატი გვყოლოდა. გჯერათ ვინმეს, რომ პოლიტიკური ოპონენტი გულწრფელად წუხს, რომ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ უფრო ძლიერი კანდიდატი არ დაასახელა? ამაზე ღვრიან ცრემლებს. რაც შეეხება იმას, შეიცვლება თუ არ შეიცვლება კანდიდატი, ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა. როგორც ადრე ერთი წელი გვეკითხებოდნენ გინდათ თუ არა ნატოში შესვლაო და ჩვენ დილა-საღამოს უნდა გვეთქვა, რომ კი გვინდათ-ქო, ახლა ალბათ ექვსი თვე გვაძახებინებენ რომ მარგველაშვილი არ შეიცვლება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერს გელა ხვედელიძის დაკავებაზეც მოუწია საუბარმა. შს მინისტრის პირველი მოადგილე 2 დღის წინ დააკავეს. ხვედელიძე მეოცნებეების საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა კახეთში. უსუფაშვილი ხვედელიძის ნამოქმედარით გაოგნებულია.

– როდესაც ქვეყანაში შს მინისტრის მოადგილის დაკავება ხდება, ეს არ არის ორდინარული მოვლენა, ეს არის პოლიტიკური და სამართლებრივი დატვირთვის ფაქტი, ამიტომ ეს სერიოზული და კომპლექსური გადაწყვეტილება იყო. ხვედელიძე გავიცანი ერთი წლის წინ და მან საარჩევნო კუთხით დიდი შრომა ჩადო, ერთ-ერთი საყრდენი პირი იყო ჩვენს საარჩევნო შტაბში. გაოგნებული ვარ, მას ეს რატომ და როგორ მოუვიდა შეცდომა. ადამიანურად თანავუგრძნობ, მაგრამ სახელმწიფო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა, კანონის უზენაესობა. დაველოდოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, მსგავსი ფაქტები არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. იმედია, ეს გადაწყვეტილება ბევრი თვალსაზრისით გამოიღებს დადებით შედეგს, ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ სხვა საქართველოში ვცხოვრობთ. ადრე ასეთი თანამდებობის პირის მიმართ მსგავსი ზომების გამოყენება წარმოუდგენელი იყო. აუცილებელია დადგინდეს, ვინ განახორციელა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების ჩაწერა. ის, რაც იყო წარმოუდგენელი ათწლეულობის მანძილზე, რომ ასეთი თანამდებობის პირის მიმართ მსგავსი ზომები გატარებულიყო, ეს დღევანდელი ხელისუფლების პირობებში არის შესაძლებელი, არათუ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალი ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ვერ გაუძლებს სხვადასხვა ტიპის ცდუნებას და ხელი წაუცდება დანაშაულის ჩადენაზე, რა მოტივითაც არ უნდა იყოს ეს. თვეების განმავლობაში ჩვენ ერთად ვმუშაობდით და ვწუხვარ ამ ფაქტზე, მაგრამ ყველა ვართ ინდივიდუალურები და ჩვენს მოქმედებებზე პირადად უნდა ვაგოთ პასუხი.საგულისხმოა, გამოძიების პროცესში დადგინდეს, თუ ვინ ქმნიდა ამ მასალებს. შს მინისტრისგან მოვისმინეთ, რომ ეს არის წინა ხელისუფლების პირობებში შექმნილი. თუ ვინმემ ეს ბოროტად გამოიყენა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ უნდა დაისაჯოს ისიც, ვინც ამას იღებდა და არანაკლებ ბოროტად იყენებდნენ, მაგრამ სხვა გზებით და საშუალებებით. მსგავსი მასალის შექმნა არის დანაშაული და თუ დღეს შს მინისტრის მოადგილემ ღიად გაავრცელა და ამაშია დანაშაული, არანაკლები დანაშაულია იმათ მხრიდან, თუ ვინმემ ამას ფარული გამოყენება მოუპოვა და ის აქტივი, თუ რისთვის იქმნებოდა, ეს მალე და მკაფიოდ იქნეს გამოძიებული და დაისაჯოს მთელი სისტემის შემოქმედი, – ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.



საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში უშიშროების სამინისტროს ცალკე უწყებად ჩამოყალიბების აუცილებლობაზე დაიწყეს საუბარი. ვარდების რევოლუციამდე უშიშროების სამინისტრო ცალკე უწყება იყო. ვარდოსნებმა ის შს სამინისტროს შეუერთეს. უშიშროების სამინისტროს ბაზაზე კი ავადსახსენებელი კუდი და სოდი შეიქმნა.

დავით უსუფაშვილი მიიჩნევს რომ ამ საკითხის განხილვა დღის წესრიგში მხოლოდ -საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ: უნდა დადგეს.

– წლების განმავლობაში ვსაუბრობდით იმაზე, რომ იმ ტიპის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რაც შექმნა მიხეილ სააკაშვილმა და აქცია ის დიდ მონსტრად, არ არის სწორი მოწყობა. მაგრამ ჩვენ ვთქვით ისიც რომ, ამ საკითხში სიჩქარე არ ვარგა. მე მგონია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი იქნება ამ ტიპის საკითხების გადასაჭრელად ოპტიმალური დრო. ჩვენ ჯერ უნდა მოვახერხოთ ქვეყნის დამშვიდება და დაწყნარება. რაც შეეხება მომავალ პერსპექტივას, ჩვენ ყველა მიმართულებით უნდა დავნერგოთ თანამედროვე დაბალანსებული სისტემები. უახლოეს ხანებში დაიწყება საკონსტიტუციო საკითხებზე მუშაობა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შემდგომ ამ თემებზეც იქნება საუბარი. ასე, რომ ეს დიდი საკითხია და მსჯელობა სჭირდება, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

# ნანა დევდარიანი: „ოპოზიციას ვურჩევ, პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძე დაასახელოს“

## ივანიშვილს უნდა, რომ პრეზიდენტი მასზე სუსტი და მასზე დაქვემდებარებული იყოს

ნონა ცაბაძე

რამდენიმეთვიანი ლოდინის და მარჩიელობის შემდეგ, როგორც იქნა, ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი დასახელდა. პრემიერმა შაბათს უმრავლესობასთან შეხვედრის შემდეგ საზოგადოებას გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. საზოგადოების ნაწილი დადებითად შეხვდა მარგველაშვილის კანდიდატურას, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ის საკმაოდ სუსტი კანდიდატია და მთლიანად ივანიშვილის გავლენის ქვეშ იქნება. თუ რა შანსები აქვს მარგველაშვილს და რატომ შეაჩერა ივანიშვილმა მასზე არჩევანი, აღნიშნულთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანს ესაუბრა.

***— ქალბატონო ნანა, როგორც იქნა, ცნობილი გახდა ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი. თუმცა მის დასახელებას საზოგადოება უფრო ნაკლებად ელოდა, რადგან სულ სხვა კანდიდატებზე იყო საუბარი. ბევრისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელიც აღმოჩნდა. თქვენი აზრით, რა კრიტერიუმით შეირჩა ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი?***

— მარგველაშვილის გვარი რამდენჯერმე გაისმა, როდესაც კანდიდატურებზე იყო საუბარი. უბრალოდ, ამისთვის მეტისმეტი ყურადღება არავის მიუქცევია. მარგველაშვილის დასახელება მეტყველებს იმაზე, რომ ივანიშვილი არ უყურებს სერიოზულად პრეზიდენტის ფიგურას. გიორგიზე ცუდს ნამდვილად ვერ ვიტყვი, განათლების სფეროშიც რაც განხორციელდა, ეს საკმაოდ დადებითი ძვრებია. პირველ რიგში, ეს იყო უფასო სახელმძღვანელოები და ასე შემდეგ. თუმცა ამის მიუხედავად, მისი პოლიტიკური გამოცდილება არის ძალიან ხანმოკლე. პრეზიდენტი არც ისე უუფლებოა, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება და ის რამდენად მოახერხებს ამ ფუნქციების შესრულებას, ვერ გეტყვით. მას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი წარმომადგენლობითი ფუნქცია. რაც შეეხება დასავლეთში ან რუსეთში კავშირებს, მარგველაშვილი ამით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის. ამიტომ, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, ის საკმაოდ სუსტია.

***— თქვენი აზრით, რატომ გააკეთა ასეთი არჩევანი?***

— უბრალოდ, რა არჩევანიც ჰქონდათ, იქიდან გამომდინარე გაკეთა ეს არჩევანი. საუბარი იყო კალაძეზე, მაგრამ მას ასაკი არ უწყობს ხელს, თანაც სულ ახალი შემოსულია პოლიტიკაში. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ის საქართველოში არ არის დაბადებული. მაშინ შესაცვლელი იქნებოდა კონსტიტუცია, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ პრეზიდენტი დაბადებული უნდა იყოს საქართველოში და ცენზი უნდა ჰქონდეს აქ ცხოვრების. რაც შეეხება ალასანიას, ჩვენ ვნახეთ, ნაციონალები როგორ აქცენტს აკეთებდნენ მასზე. ამით, ერთი მხრივ, განხეთქილების შეტანა უნდოდათ კოალიციაში და, მეორე მხრივ, ალასანიას კანდიდატურა მათთვის სულაც არ იქნებოდა მიუღებელი, როგორც კანდიდატის. მათ მშვენივრად იციან, რომ ბრძოლას ვერ მოიგებენ. აქ ახლა ბრძოლა მიდის რაზე? ვინ გავა მეორე ადგილზე. გავა თუ არა ნაციონალი მეორე ადგილზე? ალასანიამ ზუგდიდში ვერ მოიგო მაჟორიტარული არჩევნები. ამდენად, ივანიშვილის რეაქცია, როდესაც მან გაიგო, რომ ის პრეზიდენტობაზე ფიქრობდა, სრულიად ადეკვატური იყო. ზუგდიდის არჩევნები ალასანიასთვის იყო სერიოზული ტესტი. ჩემი აზრით, ყველაზე რეალური კანდიდატი ქართული ოცნებიდან თეა წულუკიანი იქნებოდა, ის აუცილებლად გაიმარჯვებდა, მისი კანდიდატურა რომ დასახელებულიყო. გარდა მაღალი რეიტინგისა, მას ძალიან კარგი კავშირები აქვს დასავლეთში, სამუშაო კავშირები. ასევე იყო კიდევ ერთი კანდიდატურა — თედო ჯაფარიძე, რომელსაც ასევე უზარმაზარი კონტაქტები აქვს თუნდაც იგივე შეერთებულ შტატებში. ჩემთვის პრეზიდენტობის კანდიდატად სასურველია ისეთი ადამიანი, რომელსაც თანაბრად შეუძლია როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან ლაპარაკი. თუმცა ივანიშვილმა ასეთი კანდიდატი არჩია.



***— ივანიშვილს უნდა, რომ პრეზიდენტი მასზე სუსტი და მასზე დაქვემდებარებული იყოს?***

— რა თქმა უნდა, ეს არჩევანი სწორედ ამაზე მეტყველებს. არ არის სწორი, რომ იმდენად დაქვემდებარებული პრეზიდენტი იყოს, რომ რასაც პრემიერი ეტყვის, ის გააკეთოს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ რაღაც კიდევ შეიცვალოს. ანუ ოცნებამ შეცვალოს კანდიდატი. ვეჭვობ, რომ მარგველაშვილს მაღალი მხარდაჭერა ჰქონდეს, თუმცა რაც იქნება, ესეც ივანიშვილის მხარდაჭერა იქნება. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო კონფიგურაცია იქნება თუკი პრეზიდენტი ვერც ოცნების კანდიდატი გახდება და ვერც ნაციონალი. პრეზიდენტი თუ იქნება ოპოზიციიდან, მაშინ ეს უფრო დაბალანსებული პოლიტიკა იქნება. თუკი ოპოზიცია გაერთიანდება და წამოაყენებს ერთიან კანდიდატს, მაშინ ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი. იმიტომ, რომ არ შეიძლება ნაციონალები გამაგრდნენ ქართულ პოლიტიკაში, როგორც ალტერნატივა მმართველი პარტიისა და ერთადერთი ოპოზიცია. ამიტომ ამ მხრივ მესამე ძალას, გაერთიანებულს და მის კანდიდატს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

***— თქვენ ვინ გესახებათ ასეთ კანდიდატად?***

— მე ვფიქრობ, რომ პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციიდან რეალური კანდიდატი, რომელსაც შეიძლება გაერთიანებულმა ოპოზიციამ მხარი დაუჭიროს, ეს არის ნინო ბურჯანაძე. მე ვითვალისწინებ ყველაფერს, მის პოლიტიკურ გამოცდილებას, ურთიერთობას დასავლეთთან, ურთიერთობას რუსეთთან. მათ შორის ისეთ თვისებას, როგორიც არის გაწონასწორებულობა და დინჯი მიდგომა საკითხებისადმი, ასე რომ, თუ ოპოზიცია ამას მოახერხებს, ეს იქნება ძალიან კარგი, რადგან მარგველაშვილის კანდიდატურის წამოყენებამ კოალიციის მხრიდან სერიოზულად გაზარდა ნინო ბურჯანაძის შანსები. პრეზიდენტს გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება უნდა ჰქონდეს, სხვა თუ არაფერი, გარკვეული ლიდერის თვისებები სჭირდება. საამისო გამოცდილება ჯერჯერობით მარგველაშვილს არა აქვს. ასე არ არის მართლა, რომ ვინც გინდა იყოს და ოცნების და ივანიშვილის ხათრით ხმას მისცემენ. ასე აღარ იქნება. ეს ვითარება იყო 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. გეტყვით იმასაც, რომ თუ ბურჯანაძეს არ ჰქონდა გადაწყვეტილი მონაწილეობის მიღება საპრეზიდენტო არჩევნებში, ეს უბიძგებს და გადააწყვეტინებს. ყველა თვალსაზრისით ბურჯანაძე უპირატესი ფიგურაა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვითონ მარგველაშვილი ბურჯანაძეს უჭერდა მხარს და მის გუნდში იყო.

***— როგორც ოპოზიცია, ისე ბურჯანაძე დუმს, ეტყობა, ელოდებოდნენ თუ ვინ დასახელდებოდა მათი მხრიდან...***

— რასაკვირველია, ეს არის მმართველი ძალა და ყველა ელოდებოდა თუ რომელი კანდიდატურა წამოვიდოდა იქიდან. ახლა, ამ კვირიდან, უკვე მათი მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებსაც უნდა ველოდოთ.

***— საუბარია იმის თაობაზეც, რომ ნაძალადევის არჩევნებმა აჩვენა, რომ ოცნების რეიტინგი დავარდა და მათი გამარჯვების შანსებიც შემცირდაო, ასეა?***

— არა, ეს ასე არ არის. ნაძალადევის არჩევნებმა აჩვენა, რომ ხალხი მაშინ იყო მობილიზებული ერთ ამოცანაზე, რომ გაეშვა უმრავლესობიდან ნაციონალები. ეს ამოცანა უკვე შესრულებულია. ახლა, იქ რომ ხმები გაიყო, ეს არის სრულიად ნორმალური მოვლენა. თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ აქ შეცდომა იყო დაშვებული. მართალია მაინც მოიგეს, მაგრამ შეცდომა იყო დაშვებული იმ მხრივ, რომ ნაძალადევში ასეთი კანდიდატურა, ცუდს არაფერს ვამბობ კორძაიაზე, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო, რამდენად მისაღები იყო ეს კანდიდატურა ნაძალადევის რაიონის უმრავლესობისთვის. ოცნებას შანსი არა აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისო, მე ასე არ ვიტყოდი. უკვე ვიცით ოცნების კანდიდატურა, ჩემთვის ძალიან საინტერესოა, ვის კანდიდატურას წამოაყენებს ოპოზიცია თუ გაერთიანდებიან და ძალიან უინტერესოა ნაციონალების კანდიდატი. ვისი კანდიდატურა უნდა წამოაყენონ, რომ რაიმე შანსი ჰქონდეთ. პაატა ბურჭულაძეზე ამბობდნენ ოცნება წამოაყენებსო, ნაციონალებმა რომ წამოაყენონ პაატა ბურჭულაძის კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარსულთან არანაირად არ არის დაკავშირებული, მასაც კი გაუჭირდება გამარჯვება, რადგან მისი სახელით იქნება.

***— ქართული ოცნების რეიტინგის ვარდნას რაც შეეხება, ეს იმით ხომ არ არის განპირობებული, რომ უკვე ამდენი ხანი გავიდა და ვერ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა? თანაც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ უნდა შეწყდეს ყოფილი თანამდებობის პირებზე სამართლებრივი დევნაო...***

— ეს ძალიან არასწორი განცხადებაა იმიტომ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას და მან არ უნდა მისცეს არავის მითითება. ამას სულ სხვა ორგანოები წყვეტენ. ეს არის შეჭრა სხვის კომპეტენციაში. ერთპიროვნულად ამის განცხადება არ შეიძლება, მაშინ ალბათ რაღაცა დადგენილება უნდა მიიღონ და ეს იქნება ამნისტია, მაგრამ ამას როგორ შეხვდება ქართველი ამომრჩეველი, ძალიან საეჭვოა. სამართლებრივი დევნა არ არის პოლიტიკური ნიშნით და არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირებზე. ეს არის კონკრეტულ დანაშაულსა და კონკრეტულ დამნაშავეზე. ამდენად, ასეთი განცხადების გაკეთება ძალიან არაგონივრულად მეჩვენება. უკვე შვიდი თვე გავიდა და თუ დღემდე ითვლებოდა, რომ სამართლიანობის აღდგენა ვერ ხერხდებოდა იმიტომ, რომ სასამართლო არ არის თავისუფალი, ამ განცხადების შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არაფერ შუაში არ არის სასამართლოს არათავისუფალი მდგომარეობა და ეს ყოფილა პოლიტიკური ნება ახალი ხელისუფლების და ეს ძალიან წამგებიანია.

***— საუბრის ბოლოს ნაციონალებზეც მინდა რომ გკითხოთ, მართალია დღეს ისინი ნაკლებად აქტუალურები არიან, მაგრამ მაინც... თქვენ განაცხადეთ, რომ ისინი იბრძვიან მეორე ადგილისთვისო, ხომ არ გაუჭირდებათ მათ მეორე ადგილის აღება?***

— თუ ჩვენ ვმსჯელობთ შუალედური არჩევნების მიხედვით, გეტყვით, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა საპარლამენტო არჩევნებსა და საპრეზიდენტო არჩევნებს შორის. საპარლამენტო არჩევნებში შენ შეიძლება ზოგან მიიღო მაღალი პროცენტი და ზოგან ვერა, მერე, საბოლოო ჯამში, ეს შეიკრიბება. საპრეზიდენტოს შემთხვევაში შენ ყველგან გჭირდება მაღალი მაჩვენებელი, რომ მოიგო. შუალედურ არჩევნებში, სამ ოლქში მათ მეორე ადგილი აიღეს. ამიტომ ახლა ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ საპრეზიდენტოშიც მიაღწიონ მეორე ადგილს და გაიმაგრონ რეპუტაცია, როგორც ერთადერთი ალტერნატივა. აი, ეს შედეგი არ უნდა დავუშვათ.

***— რამდენად შემორჩათ იმის რესურსი, რომ მეორე ადგილზე გავიდნენ?***

— რაიონებში სულ მაგათი ხალხია. თბილისი კი დიდია, მაგრამ რაიონებიც დიდი მაჩვენებელია.

***— ბარამიძე თუ ბაქრაძე, ვინ შეიძლება იყოს მათი კანდიდატი?***

— ალბათ უფრო ბაქრაძე, იმიტომ, რომ ნაკლებად გამაღიზიანებელია ხალხისთვის თუ რაღაცა ახალი არ მოიფიქრა სააკაშვილმა. მისგან გასაკვირი არაფერია. შეიძლება სულაც სანდრა წამოაყენოს პრეზიდენტობის კანდიდატად, ჭკუა დაუშლის თუ რა. ის ივანიშვილს არ ანიჭებდა მოქალაქეობას, თორემ სანდრას ორმაგი მოქალაქეობა აქვს.

# ნანა კაკაბაძე: „სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდება“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა მინისტრმა მისი მოადგილე დააკავა. როგორ ფიქრობთ, ეს იყო მართლაც ხელისუფლების ადეკვატური რეაქცია მომხდარზე, თუ როგორც ნაციონალები აცხადებენ, უმნიშვნელო ჩინოვნიკი გაწირეს და სხვები გადაარჩინეს?***

— სხვები გადაარჩინეს — ჯერ ადრეა მაგაზე საუბარი, იმიტომ, რომ ჯერ არ ვიცით, რა პროცესები განვითარდება. სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ ზუსტად არც ვარ გარკვეული, რა ხდება, რა პროცესია დაწყებული. ეს არის შიგნით დაწყებული პროცესი, რომელიც შიდა დაპირისპირებას გულისხმობს, თუ რაიმე სხვა ხდება, ჯერ ამაში არა ვარ გარკვეული.

***— შეიძლება ესეც იყოს?***

— დიახ, შეიძლება ესეც იყოს. ის, რომ გელა ხვედელიძე ვილაცების გადასარჩენად დააკავეს, არა მგონია, ასე იყოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუ მხოლოდ მისი დაკავება მოხდა, ამაზეც შეიძლება საუბარი, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ სხვა მიზეზი უნდა ვეძებოთ. მოკლედ, დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა.

***— რაც შეეხება რესტორანში მომხდარ დაპირისპირებას, ნაციონალები აცხადებენ, რომ ეს მათ წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია იყო. თქვენ როგორ აღიქვით ეს ფაქტი?***

— არანაირ დაგეგმვას აქ ადგილი არა აქვს. ეს არის ბუნებრივი რეაქცია საზოგადოებისა, იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც 9 წლის განმავლობაში ამ ადამიანების უფლებებს არღვევდა და ექცეოდა ისე, როგორც ექცეოდა. მთავარი დამნაშავე აქ მაინც არის ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკა, როდესაც არ ხდება დამნაშავეების დასჯა. საერთოდ, თუ არ აღსრულდა სამართალი, თუ სამართლიანობა არ აღდგა, ბუნებრივია, ასეთ პროცესებს ადგილი ექნება ქუჩებში. ლინჩის წესით გასამართლება სწორედ მაშინ იბადება, როდესაც ქვეყანაში სამართლიანობა არ არის. თუ არ აღდგა სამართლიანობა, ასეთი პროცესები მუდმივად იქნება. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის საზოგადოებისთვის სწორედ ის, რომ ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და ყველა ის პირი, ვისაც მიუძღვის საზოგადოების წინაშე, ხალხის წინაშე დანაშაული, უნდა მოახდინოს მისი დასჯა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესები ასე იქნება და ნაციონალები ამას ყოველთვის წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციად შეაფასებენ. ვის უნდა სცოდნოდა, რომ იქ ნაციონალები უნდა მისულიყვნენ და ამისთვის მისულიყო. ეს არის ბუნებრივზე ბუნებრივი პროცესი. თანაც ისიც არ არის დამაჯერებელი, რომ 30 კაცი ორმა კაცმა გალახა, ხო? ე.ი. რაღაცა სხვა იყო, ან იქ მყოფი სხვა საზოგადოების ნაწილიც ჩაერია, ან მანამდეც იყვნენ ესენი ნაცემები, აბა, როგორ შეიძლება 30 კაც სცემოს ორმა ადამიანმა?! მე მგონი, დღევანდელ ხელისუფლებასაც არა აქვს სურვილი, რომ იმ რეალობაზე ილაპარაკოს რაც არის, ეს არის ის, რომ სამართლიანობა არ არის ქვეყანაში.

***— რამდენად საშიშ პროცესებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა? ხალხი გაღიზიანებულია, შვიდი თვე გავიდა და სამართლიანობის აღდგენის კუთხით არაფერი შეცვლილაო...***



— ჩვენ 19 მაისს, 2 საათზე, სპორტის სასახლეში ვგეგმავთ ძალიან დიდ თავყრილობას საზოგადოებისას, სადაც სწორედ საზოგადოება კიდევ ერთხელ შეახსენებს ხელისუფლებას იმ წინა საარჩევნო დაპირებას, რომელიც მათ მისცეს ხალხს, რომ მოვიდოდნენ და სამართლიანობას აღადგენდნენ. სამართლიანობის აღდგენის მაგივრად, უკვე მერამდენე პრეცედენტი ხდება ქუჩაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლების ცემისა. მე მინდა გითხრათ, რომ ბაჩო ახალაიას ციხეში ჯდომა არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ არ დაბრუნებულიყო ქვეყანაში და არ წასულიყო ციხეში, დღეს სად იქნებოდა, კაცმა არ იცის. ამიტომ არ შეიძლება ასე, დღეს ყველაზე უსაფრთხოდ ისევ ბაჩო ახალაიაა, იმიტომ, რომ ზის ციხეში და ის ადამიანები, ვინც გამწარებული ჰყავს მთელი ამ წლების განმავლობაში, მათთვის ის ხელმიუწვდომელია და მისი სიცოცხლე გარანტირებულია მაინც, როდესაც ის ციხეშია. დღეს თუ ეს სამართლიანობა არ აღდგა და ადეკვატური რეაგირება არ მოახდინა ხელისუფლებამ, მაშინ უკვე ის ადამიანები, რომლებიც ამ დამნაშავეებს დაუწყებენ ცემას, თუ, ღმერთმა დაიფაროს, კიდევ სხვაგვარ ანგარიშსწორებას, გამოდის, რომ დანაშაულის პროვოცირება ხდება ხელისუფლების მხრიდან. როდესაც არ ხდება სამართლიანობის აღდგენა, მერე ხალხი თვითონ ამყარებს ხოლმე ამ სამართალს და ამ დამყარების პროცესში თვითონაც ხდება კანონის მსხვერპლი. არ შეიძლება ასეთი რაღაცები, არ შეიძლება ადამიანები ასე წააქეზო დანაშაულისთვის და ეს პასუხისმგებლობა დღეს მთლიანად უნდა აიღოს ხელისუფლებამ.

***— საზოგადოების გაღიზიანება ასევე გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ბოლო პერიოდია ისმის განცხადებები მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, იგივე პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, რომ უნდა შეწყდეს სამართლებრივი დევნა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ. რას ნიშნავს ეს განცხადებები?***

— ეს განცხადებები ძალიან ცუდ რამეს ნიშნავს. ეს განცხადებები ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ხალხის ინტერესებს არ იცავს. ყოველ შემთხვევაში, მისი გამონათქვამები ნამდვილად არ არის საზოგადოების დაკვეთა, რომ დამნაშავემ პასუხი არ აგოს. მაშინ რატომ აგებენ პასუხს დანარჩენი ადამიანები? ჩვეულებრივი მოქალაქეები, მათი პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი რატომ დგება? რატომ არის ხალხი ციხეებში? მათ ხომ გაცილებით ნაკლები დანაშაული აქვთ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## კახეთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი ჯგუფის კიდევ ერთი წევრი დააკავეს

შსს-მ კახეთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი ჯგუფის კიდევ ერთი წევრი დააკავა.

სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1964 წელს დაბადებული ზაქარია რ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ყალბი აქტი შეადგინა, რომლის საფუძველზეც მათ 11760 ლარი უკანონოდ მიითვისეს და ერთმანეთში გაინაწილეს.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით), რაც თავისუფლების 3 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილი ივანიშვილს გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერს, ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდებს.

„საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს პრემიერ-მინისტრს გადახედოს თავის გადაწყვეტილებას ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით და დაუბრუნოს შენობას კუთვნილი სტატუსი.

მიხეილ სააკაშვილმა ამ უმაღლესი სასწავლებლის უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიების სპეციალისტები ჰაერივით სჭირდება. მან კიდევ ერთხელ დაათვალიერა შენობა, საიდანაც უკვე მთლიანად გატანილია სასწავლო ინვენტარი და დაზიანებულია შენობის აუდიტორიების ის ნაწილი, რომელიც სტუდენტებისა და სასწავლო პროცესისთვის უკვე მოწყობილი იყო“ - ნათქვამია პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ნიუსპრესი**

## ნანა კაკაბაძე: „სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ჩადენილი, ვიდრე იმ ადამიანებს, ვისზედაც დღეს საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარე! მაშინ გახსნან ციხეები და ის დამნაშავეებიც გამოუშვან გარეთ. მით უმეტეს ისინი, ვისაც გაცილებით ნაკლები აქვს ჩადენილი, ვიდრე იმ ხელისუფლებას. როგორ შეიძლება საზოგადოებისთვის ასე სულში ჩაფურთხება?! ამისთვის არ მიუცია სხვათა შორის ხმა ქართველ ხალხს, როდესაც პირველ ოქტომბერს თქვა, რომ ჩვენ აღარ გვინდა ეს რეჟიმი და გვინდა სხვა ხელისუფლება.

***— რაც შეეხება იმ ღონისძიებას, რომელიც 19 მაისს იგეგმება, ძირითადად რა დატვირთვა ექნება მას და რა მოწოდებები შეიძლება მოვისმინოთ?***

— პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ იქმნება მოძრაობა — სამართლიანობა უნდა აღდგეს. ჩვენ გვინდა, რომ იქ შეიქმნეს სამოქალაქო კომისია, რომელიც იქნება შუალედური რგოლი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, რომელიც ხელისუფლებას წაუყენებს იმ მოთხოვნებს და იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ამ დაზარალებულ ჯგუფებს აქვთ დღეს ქვეყანაში. ესენი არიან იპოთეკით დაზარალებულები, ბანკის კრედიტებით დაზარალებულები, სახლებიდან გამოყრილები, ბიზნესწართმეულები, ქონებაწართმეულები, ქუჩაში ჩახოცილი უდანაშაულო ბიჭების ოჯახები, უკანონო პატიმრები და უამრავი სხვა, ჩამონათვალი ძალიან დიდია და ეს შორს წაგვიყვანს. ასევე მშენებლობებით დაზარალებულები და ისეთი ჯგუფები, ვინც აერთიანებს ას კაცზე მეტ დაზარალებულს. თითო წარმომადგენელი მათ ეყოლებათ ამ სამოქალაქო კომისიაში, რომელიც შეიქმნება სპორტის სასახლეში და ეს კომისია იქნება შუალედური რგოლი, რომელიც, ერთი მხრივ, პარლამენტს მისცემს საშუალებას, რომ შეაფასოს ეს რეჟიმი ამ დანაშაულობების და კონკრეტული საქმეების ფონზე და მეორე მხრივ, მისცემს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემების მოგვარება. როგორია ხედვა აქეთა მხრიდან, დაზარალებულების მხრიდან და მოხდება შეჯერება, ანუ შედგება დიალოგი, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მე მგონი, ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი ნორმალური სახელმწიფო პოლიტიკისა და ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი ხელისუფლებისა და ხალხის თანამშრომლობის და ხალხის ჩართულობისა პროცესების მართვაში. მე მგონია, რომ ეს უნდა იყოს შემდგომშიც ძალიან ქმედუნარიანი კომისია, რომელიც სწორედ საზოგადოების და ხალხის ინტერესებს მოემსახურება.

***— ასევე მინდა საპრეზიდენტო არჩევნებზე და ოცნების კანდიდატზეც გკითხოთ, როგორია თქვენი შეფასებები ამ კუთხით?***

— ჩემი აზრით, მარგველაშვილის კანდიდატურა შეირჩა იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს დიდი ნდობა პრემიერისგან და ალბათ აქ იქნა გათვალისწინებული ის კავშირები, ურთიერთობები, რომლებიც გიორგის გააჩნია. უპირველეს ყოვლისა კი იმ ნდობით და ერთგულებით, რომელიც მას პრემიერის მიმართ აქვს.

***— რაც შეეხება ნაციონალებს, როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება იყოს მათი კანდიდატი და რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება?***

— ალბათ, ბაქრაძე იქნება მათი კანდიდატი და რა გითხრათ, დღეს ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილი კანდიდატის კონკურენტუნარიანობაზე ნაკლებად შემიძლია რამე ვთქვა.

***— საუბრის ბოლოს გკითხავთ, თუკი ასე დროში გაიწელა სამართლიანობის აღდგენა, მაშინ რა პროცესებს უნდა ველოდოთ ქვეყანაში?***

— ჯერ ერთი, ის, რომ რეიტინგი ძალიან სწრაფად დაიწყებს ვარდნას. თქვენ იცით, რომ სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა ხელისუფლების რეიტინგის კლება, რომ დროულად არ აღდგა სამართლიანობა. ხალხს მობეზრდა ეს მიტინგები, მანიფესტაციები და პირველ ოქტომბერს იმიტომ გამოვიდა ყველა და ხალხი იყო ერთსულოვანი, რომ ხალხს აერჩია ახალი ხელისუფლება და შემდეგ მშვიდი ცხოვრებით ეცხოვრა. თუ ხელისუფლება საზოგადოებას ამის საშუალებას არ მისცემს და აიძულებს ისევ ქუჩაში გამოვიდეს იმისათვის, რომ აღადგინოს სამართლიანობა, ესეც გარდაუვალი პროცესი იქნება და ძალიან მტკივნეული. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ერთი მხრივ, საზოგადოების მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ და საზოგადოების დაკვეთა შეასრულოს ხელისუფლებამ და მეორე მხრივ, თვითონ ხელისუფლებამაც აი, ამ დაპირებებით გაიმარჯვა და მოვიდა ხელისუფლებაში, როდესაც ის ხალხს ჰპირდებოდა, რომ ჩვენ სამართლიანობას აღვადგენთ.

## „ბილაინმა“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში გამოაქვეყნა

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინმა“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (Corporate Social Responsibility (CSR)) ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიში კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ შეკრებილ ჟურნალისტებს კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა წარუდგინა.



ტყეშელაშვილმა კომპანია „ბილაინის“ მიერ 2012 წელს განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და შეაფასა, თუ რა სარგებელი მოუტანა საზოგადოებას გასულ წელს მათ მიერ შესრულებულმა სამუშაომ.

გიორგი ტყეშელაშვილის განცხადებით, კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც კომპანიის გლობალური სტრატეგიის ნაწილია, ვინაიდან „ბილაინი“ მონაწილეობს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში და თავის როლს ქვეყნისგანვითარების ყოველმხრივ ხელშეწყობაში ხედავს.

გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებების განსაზღვრისათვის კომპანია სწავლობს საზოგადოების მოთხოვნილებებს, აქვს ურთიერთობა მათთან, ვისი აზრიც გადამწყვეტია, რადგან ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტაში მაქსიმალური წვლილი შეიტანოს.

„ბილაინის“ გენერალური დირექტორის განცხადებით, „ბილაინის“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად მიმართულებებს წარმოდგენს ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში, დარგის განვითარება, გამჭვირვალობა, გულახდილობა, ეთიკურობა, მაღალი ხარისხის მომსახურებებისა და სერვისის მიწოდება, მობილური წიგნიერება, მობილური ეტიკეტი, სამუშაო ადგილების შექმნა და შრომის ღირსეული პირობების უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კანონი არ ავალდებულებთ კომპანიებს გახადონ საჯარო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში (CSR) მეორე წელია „ბილაინი“ამ ანგარიშს აქვეყნებს.

CSR-ის ფარგლებში, კომპანია ირჩევს ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებს, ყველაზე აქტუალური სოციალური საკითხების გადაჭრის ხელშეწყობისთვის, ესენია: განთლება, ბავშვების დახმარება,სპორტის განვითარება და გარემოს დაცვა.

როგორც CSR-ის ანგარიშის წარდგენინას კომპანია „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თეონა ბალდავაძემ განაცხადა, განათლების, ეროვნული ღირებულებებისა და საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების მხარდაჭერა კომპანიის პრიორიტეტად რჩება.

2012 წლის დასაწყისში კომპანიამ დაარსა საქველმოქმედო კომიტეტი, რომელიც ყოველ კვარტალში უწევს დახმარებას გაჭირვებულ ვეტერანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ობოლ ბავშვებს და არაკომერციულ ორგანიზაციებს.

ვეტერანებისთვის გაიმართა აქციას „ზარი თანამებრძოლს“, რომელიც ვეტერანებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უფასოდ დარეკვის საშუალებას აძლევს.

პროექტი „ნათელი ფერები ბავშვებს“ ბავშვთა სახლებსა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშთასახლების აღსაზრდელების მიზნობრივ დახმარებას გულისხმობს .

კომპანია ახორციელებს ახალ პროექტს „ეკო ოფისი“, როგორც „ბილაინის“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშშია აღნიშნული, „ეკო ოფისის“ პროექტი გულისხმობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

**თეონა ბალდავაძე, „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:** გარემოსადმი სათუთი დამოკიდებულება ჩვენი ბიზნესის ფილოსოფიაა. პროექტ „ეკო ოფისის“ ფარგლებში, რომელმაც კომპანიაში სტარტი 2011 წლის დასაწყისში აიღო, ჩვენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის შესაძლებლობებს ვეძებთ.



ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებების ხასიათი ხელს უწყობს ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებას — მობილური ტელეფონები და კომპიუტერები ცვლის უბის წიგნაკებსა და დღიურებს, ხოლო წიგნებისა და გაზეთების ელექტრონული ვერსიები — მათ ბეჭდურ ვარიანტებს.

ახლა ჩვენი ახლობლებისთვის მძაფრი ემოციების გასაზიარებლად აღარ გვჭირდება ქაღალდის წერილების, ბარათებისა და ფოტოების გაგზავნა. ელექტრონული ფოსტის ან SMS და MMS-შეტყობინებების სერვისების გამოყენებით ამის გაკეთება ბევრად სწრაფად შეიძლება. ამით ვინარჩუნებთ ხეებს, რომლებისგანაც ქაღალდი მზადდება.

შეგახსენებთ, რომ პროექტის დაწყების მომენტიდან ქვეყნებში 70-ზე მეტი ღონისძიება განხორციელდა.

2012 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავდა 969 273 აბონენტი„„ჩვენ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ და ვგეგმავთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს შევუქმნათ საუკეთესო პირობები იმისთვის,რომ გადმოვიდნენ ნათელ მხარეს“-განაცხადა ტყეშელაშვილმა.

კომპანიის დირექტორი ყველაზე მეტად საკუთარი გუნდით ამაყობს. შეკრული, მობილიზებული, ნოვატორული იდეების მქონე, კომპანიის წინსვლით დაინტერესებული ადამიანები — ასე ახასიათებს გიორგი ტყესელაშვილი 460 ადამიანს, რომელიც „ბილაინში“ მუშაობს.

„ჩვენ ყველანირ პირობას ვუქმნით თანამშრომელს რომ გაიზარდოს პროფესიონალურად და პოზიციურად წინ წაიწიოს. თავის მხრივ „ბილაინის“ თანამშრომლებიც საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სხვა ადამიანებს. ჩვენი თანამშრომლები ტრეინინგებს გადიან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც მათ კვალიფიკაციას კიდევ უფრო ამაღლებს“ — ამბობს ტყეშელაშვილი.

რაც შეეხება ინვესტიციებს, რომელიც ასევე CSR-ის ანგარიშშია შესული. „ბილაინი“ ინვესტიციების მოზიდვის კუთიხთ იმ კომპანიათა ხუთეულში შედის, რომლებმაც ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელეს ქვეყანაში. ჯამში კი, ბიუჯეტში კომპანიიდან გასულ წელს 27 მილიონი ლარი შევიდა.

კავშირგაბმულობის ქართული ოპერატორი, შპს „მობიტელი“, კომპანიათა ჯგუფ „ვიმპელკომში“ შედის. შპს „მობიტელი“ ქართულ ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა.

**ანა ვაჩნაძე**

# გახდება თუ არა მოდინახე მეორე მთაწმინდის პარკი?!

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

არსებობდა მოსაზრება, რომ ივანიშვილსა და პატარკაციშვილს შორის არსებობდა ფარული დაპირისპირება, რომელიც თუნდაც კონკურენციით აიხსნება. რამდენად ჯანსაღად მიმდინარეობს ბიზნესში კონკურენცია, ეს მეორე საკითხია, თუმცა საჩხერელ მილიარდერზე ამბობდნენ, რომ მას ჰქონდა ჩანაფიქრი საჩხერის სავიზიტო ბარათად აღიარებულ მოდინახის ციხის რეკულტურიზაციის. მართალია, ივანიშვილს არ განუხორციელებია ინვესტირება „მოდინახის“ რესტავრაციისათვის, მაგრამ ზემოთ გამოთქმულ ეჭვის საფუძველზე ციხის მიდამოების შემოღობვა-მონიშვნები გააკეთა ადგილობრივმა მოსახლეობის ნაწილმა. ამას თავისებური ახსნა აქვს: თუ ბიზნესსაქმიანობას წამოიწყებდა მეცენატი, ის გადაუხდიდა მიწის „მესაკუთრეებს“ სოლიდურ თანხას. საბოლოოდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, „მოდინახე“ ერთ-ერთი ყველაზე მოუვლელი ტერტორიაა იმ ისტორიული ძეგლებიდან, რომლებიც იმერეთში მდებარეობს.

მოდინახეს არ აქვს ისეთი დიდი წარსული, როგორიც შორაპნის ციხეს, მაგრამ მას ზემოიმერეთში (საწერეთლოში) ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა. ლოკალური დანიშნულების ციხე, რომელიც რაჭის ერისთავებთან ან აბაშიძეებთან გამოჯიბრებით აშენდა, შეინილბა სასიყვარულო თქმულებით — თითქოს უციხო წერეთელს ქალს არ ატანდნენ, ვიდრე ციხეს არ ააგებდა. სასიძომ ციხის დასრულების შემდეგ სასიმამროს შეუთვალა: მოდი, ნახეო.

გასული წლის ბოლოს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოთქვა სურვილი, რომ ჩამოყალიბებულიყო ფონდი „მოდინახე“, რომელიც იზრუნებდა საჩხერეში ინფრასტრუქტურულ-ეთნოგრაფიული საკითხების მოგვარებაზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიული პირი „ფონდი მოდინახე“, რომლის რეგისტრაცია ოფიციალურად აპრილში მოხდა. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბაჩო გაფრინდაშვილი „ახალ თაობას“ დაგეგმილ პროექტზე ესაუბრა.

***— როცა აიპ „ფონდი მოდინახე“ ჩამოყალიბდა, რა მატერიალური და ადამიანური რესურსები იქნა გამოყენებული?***

— ფონდის ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ინგა ზაბახიძეს. საკრებულოს გადაწყვეტილებით, სუბსიდიის სახით გამოიყო 20 ათასი ლარი, რომლის დაახლოებით 50% სახელფასო ფონდს ესაჭიროება, დანარჩენი კი საოფისე და საპიარო საკითხებზე დაიხარჯება. სულ ოთხი თანამშრომელი ვართ ფონდში: აღმასრულებელი დირექტორი, ორი სპეციალისტი და ბუღალტერი (ფინანსური მენეჯერი). გვაქვს წლიური სამუშაო გეგმა გაწერილი, რომელსაც პუნქტუალურად ვახორციელებთ. შესაძლოა, ვინმეს სასაცილოდაც მოეჩვენოს, რომ ჩემი ხელფასი 300 ლარია, ხოლო სპეციალისტების 140 ლარი, მაგრამ ჩვენთვის, საჩხერელი ახალგაზრდებისათვის, მატერიალურ სარგებელზე გასვლა თვითმიზანი არც ყოფილა. ერთწლიანი აკადემიური შვებულების აღებამაც მომიწია ამ საქმის წამოწყების გამო (ვსწავლობ იტალიაში, პერუჯაში), მაგრამ ვთვლი, რომ მაგისტრატურა მოითმენს, ეს საქმე კი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს.

***— თუ გაქვთ გამოხმაურება საზოგადოების მხრიდან?***

— დავბეჭდეთ ფლაერები, დავამზადეთ სარეკლამო ბანერი, გავხსენით საბანკო ანგარიში, სადაც თანხის გადარიცხვა შეიძლება საბანკო, სატელეფონო ან სწრაფი გადარიცხვებით. ჯერ ფინანსური გადმორიცხვა არ გაკეთებულა, მაგრამ „ჯორჯიანმანგანეზი“ და ადგილობრივი სამშენებლო ქვიშის მომპოვებელი ორგანიზაცია გვპირდება სამშენებლო მასალებით მომარაგებას. ვფიქრობთ, რომ ფონდის ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ ფინანსური თანადგომის პრეცედენტებიც გვექნება.




***— როცა ასეთ საქმეს იწყებ, აუცილებელია ძლიერი მესიჯების დაგზავნა საზოგადოებაში, როგორ აპირებთ საზოგადოებასთან ურთიერთობას?!***

— გადაწყვეტილი გვაქვს, რომ გავაგრძელოთ საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება-გავრცელება, დაგეგმილი გვაქვს პერიოდული გაზეთის გამოშვებაც, რომელიც მინიმუმ 500 ეგზემპლარი დაიბეჭდება ყოველთვიურად. ვეცდებით, რომ მაქსიმალურად ჩავრთოთ მედიასაშუალებები საზოგადოების ინფორმირების საკითხში. ვაპირებთ სარეკლამო რგოლის გადაღებას, რისთვისაც ცნობილ სახეს მოვიწვევთ და სატელევიზიო ეთერში გავუშვებთ.

***— რა დანიშნულება ექნება მოდინახის აღდგენას საბოლოო ჯამში?***

— მოდინახეს, როგორც ციხეს, დიდი ხნის ისტორია არ აქვს, მაგრამ თუ ვინმე ერთხელ მაინც ასულა ამ ციხეზე, არ დაავიწყდება ის ულამაზესი პანორამა, რომელიც მნახველს თვალწინ ეშლება. მდინარე ყვირილას ხეობა, კავკასიონის ქედის განშტოებები და მიკროკლიმატი ყველას ხიბლავს. შემოქმედი ადამიანისთვის და ტურიზმისათვის უფრო უკეთესი ადგილის მოძებნა ალბათ კავკასიაში გაჭირდება. გზის დაგება, რომელიც უპირველესი საკითხია, კომუნიკაციისათვის საჭიროა არა მარტო ციხემდე მისასვლელად, არამედ მიმდებარე სოფლებისთვისაც. ე.წ. „აკაკის თავი“ აუცილებლად უნდა იქნას აღდგენილი. უზარმაზარი სამუშაოებია ჩასატარებელი თავად ციხის რესტავრაციისათვის (გვაქვს ჩაფიქრებული კოშკების, სახრჩობელას, მარნისა და კარის ეკლესიის აღდგენაც). ძალიან მომგებიანი იქნება საჩხერის ცენტრიდან ციხის მიმდებარე ტერიტორიამდე საბაგირო გზის მოწყობაც. საბაგირო გზის შემთხვევაში ძალიან იაფად და უსაფრთხოდ შეიძლება ადამიანმა დაათვალიეროს ის ტერიტორია, რომელიც მოდინახიდან მდინარე ყვირილამდეა. უკვე იმ ფერდობის, რომელიც მოუვლელი და ნანგრევებით მოფენილი იყო, გამწვანება დავიწყეთ. სკოლის მოსწავლეების დახმარებით დავრგეთ ფიჭვები, თუმცა მივიღეთ რეკომენდაცია, რომ ფართოფოთლოვანი მეზოფიტებითაც გავანაშენიანოთ აღმოსავლეთის ექსპოზიცია. ვთვლი, რომ ამ ფერდობს სჭირდება შერეული მცენარეული საფარი. ზამთრის პერიოდში მარადმწვანე მცენარეები, ხოლო ზაფხულში ფოთოლცვენიებიც შექმნიან იმ დამასვენებელ ეფექტს, რომელსაც ფიტომასები რომ ქმნის. სულ ბოლოს, სავარაუდოდ, სწრაფი კვების ობიექტსაც გავხსნით ციხის მისადგომთან, საინფორმაციო ცენტრსაც და ატრაქციონსაც. თუ ამ უზარმაზარ პროექტს განხორციელება უწერია, მაშინ ხელთ დაგვრჩება უზარმაზარი რეკრეაციულ-ეთნოგრაფიული კომპლექსი.

***— სად და როდის აპირებთ ფონდის პრეზენტაციას?!***

— ამ საკითხზე ჯერ ისევ მიდის მსჯელობა. აქტიური კონსულტაციები გვაქვს სპეციალისტებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან. შესაძლოა, რომ ზაფხულის პირველ ნახევარში მოვასწროთ ადგილზე პრეზენტაცია, თუმცა განიხილება თბილისში მისი მოწყობის ვარიანტიც. პრეზენტაციის დროს აუცილებლად უნდა გვქონდეს გაზეთიც გამოშვებული და მოვახერხოთ საზოგადოების მობილიზება ამ განსაკუთრებული პროექტისათვის. პრეზენტაციაზე აუცილებლად იქნა ნაჩვენები ვასილ ამაშუკელის ცნობილი ფილმის აღდგენილი ვერსიის ჩვენება. რაც შეეხება გაზეთს, მას აუცილებლად ჩვენი ადამიანური რესურსებით შევქმნით და არ მოგვიწევს ჟურნალისტური კორპუსის დაქირავება. პრეზენტაციისათვის ვაპირებთ მხატვრული მხარის გათვალისწინებასაც. დეტალები ნელ-ნელა დადგინდება და შეჯერდება.

***— მოდინახის აღდგენისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მერე ფონდის ლიკვიდაცია მოხდება?***

— ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ ფონდის საქმიანობა იყოს მხოლოდ ერთი პროექტის განხორციელებაზე ორიენტირებული. ჩვენ გვაქვს ძალიან ცნობილი ისტორიული ძეგლი, ჯრუჭი, რომელიც თავის დროზე რაჭის ერისთავთა და წერეთლების საჯილდაო ქვა იყო. ის ამჟამად საჩხერის მუნიციპალიტეტის საზღვრებშია და მისახედია. გვაქვს სხვა ისტორიული და გეოგრაფიული ძეგლები, რომელთა მიხედვა და ხალხის სამსახურში ჩაყენება ჩვენი მიზანი იქნება.

# დეპუტატების ცემას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიზნით არსებულ სამუშაო ჯგუფს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი უხელმძღვანელებს.

გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ბრძანებულებას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.



სამუშაო ჯგუფის წევრები ასევე არიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხელაია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე — ლევან იზორია, იუსტიციის მინისტრის მოადგილე — გოჩა ლორთქიფანიძე, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე — ლევან სამადაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე — მარიამ რაქვიაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე — თამარ კინწურაშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი — თეა ახვლედიანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი — გიორგი ტაბატაძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორი — ხათუნა თოთლაძე.

ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკანიანმა ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, როგორი რეაქცია ექნება საერთაშორისო საზოგადოებას შინაგან საქმეთა სამინისტროში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ადეკვატური შეფასება ექნება.

დავით ზალკანიანის განცხადებით, სამწუხაროა ის ფაქტი, რის გამოც ხვედელიძე დააკავეს.

ზალკანიანის თქმითვე, ეს კადრები წინა ხელისუფლების მიერ იყო ჩაწერილი, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა გავრცელდა.

— მაგრამ ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვანია: კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ქვეყნის დემოკრატია სწორედ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად არ არის შერჩევითი სამართალი და კანონის წინაშე ყველა ერთნაირად აგებს პასუხს. ეს არის დემოკრატიული პროცესის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილი, — აღნიშნა დავით ზალკანიანმა.

საგარეო უწყების მაღალჩინოსანმა იმედი გამოთქვა, რომ მომხდარზე საერთაშორისო თანამეგობრობას ადეკვატური რეაქცია ექნება.

რაც შეეხება ვაკეში, ფრანგულ კაფე „ლა ტრუფეში“ გამართულ მუშტიკრივს უმცირესობის წარმომადგენლებსა და სამ მოქალაქეს შორის, საერთაშორისო რეზონანსი ვერ გამოიწვია.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატების ცემას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკანიანმა გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვის — „რა გამოხმაურება მოჰყვა რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარ ინციდენტს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პოლიტიკურ ზეწოლად აფასებენ“ — საპასუხოდ განაცხადა.

— არანაირი გამოხმაურება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არ ყოფილა. წინასწარი შეფასებებისაგან თავს შევიკავებ. იმედია და დარწმუნებული ვარ, რომ ჩატარდება სამართლიანი გამოძიება, რომელიც დაადგენს, თუ რა მოხდა, — განაცხადა ზალკანიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკანიანის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით როგორი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია, მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ადეკვატური შეფასება იქნება.

იქონიებს თუ არა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ქმედება დასავლელ პარტნიორებთან გარკვეულ გავლენას?

საგარეო უწყებაში ქვეყნის პირველი დიპლომატის საერთაშორისო ვიზიტებზე ისაუბრა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

20-24 მაისს იაპონიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სამუშაო ვიზიტი იგეგმება.

ვიზიტის ფარგლებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფუმიო კისიდასთან შეხვედრა გაიმართება.

მაია ფანჯიკიძე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტს კიოში კოდერას და ასევე ბიზნეს-ასოციაცია ბიზნეს-თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდება.

გარდა ამისა, მაია ფანჯიკიძე იაპონიის სასაკავას მშვიდობის ფონდში ლექციას წაიკითხავს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტით ამ ეტაპზე უნგრეთში იმყოფება.

ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან ლაზლო კოვერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან იანოშ მარტონისთან და სახელმწიფო მდივანთან საგარეო და ეკონომიკურ საკითხებში პიტერ სიიარტოსთან.

დაგეგმილია საქართველოს და უნგრეთის მთავრობებს შორის ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროებში შეთანხმებებზე ხელის მოწერა.

მაია ფანჯიკიძე საჯარო ლექციას წაიკითხავს უნგრეთის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტში თემაზე „საქართველო და მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები“.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, 20 მაისს საქართველოს ბრაზილიელ ბიზნესმენთა ჯგუფი ეწვევა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკანიანმა გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჯგუფის წევრები წარმოადგენენ ისეთ მსხვილ სფეროებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, საკვები პროდუქტები, ავიაცია და სხვა.

— ბრაზილიელ ბიზნესმენთა ვიზიტის მთავარი მიზანია საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს გაცნობა, ბიზნესის შესაძლებლობების შესწავლა და შესაბამისი კონტაქტების დამყარება. მსგავსი მასშტაბის და ასეთი კალიბრის ბრაზილიელი ბიზნესმენებისგან შემდგარი დელეგაცია საქართველოს პირველად ეწვევა, — განაცხადა ზალკანიანმა და დასძინა, რომ ვიზიტის ფარგლებში ბრაზილიელი ბიზნესმენები სხვადასხვა სამინისტროების მაღალი რანგის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

# როგორ სჯიდა ბაჩო ახალაია სამხედროებს

ნათია ხურცილავა

საქალაქო სასამართლოში გუშინ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალიას სასამართლო პროცესი განახლდა.

სამხედრო მოსამსახურეები თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ.

ასეთი განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესზე დაზარალებულებმა, ბრალდებულების მხარის მოწმეებმა — მამუკა ბურდულაძემ და ლაშა შეყელაშვილმა გააკეთეს.

დაზარალებულებმა 2010 წელს სენაკში მომხდარი ინციდენტი დეტალურად გაიხსენეს.

მამუკა ბურდულაძის ჩვენების თანახმად, ის ნორიოს ბაზაზე მსახურობდა. ტრავმის გამო მან მოწყობაზე უარი განაცხადა, შემდეგ კი, ასევე, უარი თქვა სადილზე. ამის შემდეგ 19 სამხედრო სენაკის ბაზაზე წაიყვანეს, სადაც მათ მინისტრი ბაჩო ახალაია, გაერთიანებული შტაბის უფროსი გიგი კალანდაძე, ზურაბ არსოშვილი და ალექსანდრე გორგაძე დახვდნენ.

ბურდულაძის თქმით, მინისტრმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, გიგი კალანდაძემ კი ერთ-ერთ სამხედროს ხელი მოუქნია, რომელიც სხვა სამხედროს მოხვდა.

სამხედროების ჩვენების თანახმად, მათ წელს ზემოთ გახადეს და დაახლოებით 2-3 საათის განმავლობაში მოედანზე არბენინეს, შემდეგ კი აბანოში ჩაკეტეს, სადაც გათბობა გამოურთეს და მეტლახზე ეძინათ. სამხედროების ჩვენების თანახმად, მეორე დღეს მათ პოლიგონი დაასუფთავებინეს და ისევ აბანოში დააბრუნეს. მომდევნო დღეს კი მათთან იურისტი მივიდა და ახსნა-განმარტებები დააწერინა, სადაც სამხედროები ბოდიშს იხდიდნენ და ჩადენილ საქციელს ინანიებდნენ. ამის შემდეგ ისინი სამსახურში დააბრუნეს, თუმცა 6 თვის მანძილზე ხელფასის 30%-ს უქვითავდნენ.

— როდესაც გარკვევა ვცადე, განმიმარტეს, რომ ეს მინისტრის ბრძანება იყო და ამ საქმესთან დაკავშირებით დავისაჯეთ, — განაცხადა ლაშა შეყელაშვილმა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის კიდევ 3 მოწმის დაკითხვაა დაგეგმილი.

მომდევნო სასამართლო სხდომა 15 მაისს გაიმართება.

განსახილველი საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

# რა ვადებში უნდა ჩამოასახლონ თურქი-მესხები?

მერი ნამორაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ბრიუსელში გაკეთებულ განცხადებას ქვეყანაში თურქი-მესხების დაჩქარებული წესით ჩასახლების თაობაზე, „ერეკლე მეორის საზოგადოება“ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა. ისინი მიმდინარე კვირის ბოლოს აპირებენ ბიძინა ივანიშვილს სამცხე–ჯავახეთში თურქი-მესხების ჩასახლებასთან დაკავშირებით წერილით მიმართონ.

ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარეს, არჩილ ჭყოიძეს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია ფართო განხილვა და თურქი–მესხების სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებამდე მოსახლეობის აზრის გამოკითხვა, რადგან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რეგიონის მოსახლეობის 100 პროცენტი თურქი-მესხების ჩასახლებას ეწინააღმდეგება. მათი უკმაყოფილების მიზეზი კი ისაა, რომ სადაც მათი ჩასახლება სურთ, 60-70 პროცენტი სომხური მოსახლეობაა, რომლებსაც თურქეთთან არ აქვთ კარგი ურთიერთობა და ისინი თურქ-მესხებს, როგორც თურქებს, ისე აღიქვამენ.

„ერეკლე მეორის საზოგადოებაში“ მიიჩნევენ, რომ ამ თემაზე საუბარი აუცილებელია, ვინაიდან საქართველომ აიღო ევროპასთან ეს ვალდებულება. საქართველო უნდა შეეცადოს ეს ვალდებულება შეასრულოს, მაგრამ გააჩნია, რა დონეზე შეასრულებს და რა დროში. შეიძლება ეს ვალდებულება შესრულდეს 30 წელიწადში და ეს უმტკივნეულო იყოს ქვეყნისთვის, ხოლო თუ ვალდებულება 1 წელიწადში შესრულდება, შეიძლება დიდ პრობლემად დააწვეს ქვეყანას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანას 300 ათასზე მეტი ლტოლვილი ჰყავს მისახედი, უმუშევრობის დონე მაღალია და ამ დროს კიდევ 10 ათასი ადამიანის ჩამოსახლება დიდ პრობლემას შექმნის.

არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ საკითხში უნდა ჩაერთოს რეგიონის მოსახლეობა და ის ორგანიზაციები, რომლებიც არ ფინანსდება ევროსტრუქტურებისგან.

თბილისელ სომეხთა ასამბლეის თავმჯდომარე, დავით მანესაჯოვი განმარტავს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თურქი-მესხების ჩასახლებამ შესაძლებელია ეთნიკური დაპირისპირება გამოიწვიოს, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქ-მესხებს, როგორც თურქებს, ისე აღიქვამს, მათ კი თურქებთან კარგი ურთიერთობა არ აქვთ.

# ვის უნდა გაუნაწყენდნენ მძღოლები მაღალი ჯარიმების გამო?

მერი ნამორაძე

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ მოძრაობის წესების დარღვევისას საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით მძღოლების დამოკიდებულებით დაინტერესდა. როგორც აღმოჩნდა, დაჯარიმებული მძღოლების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელს ინდივიდუალურად შეუძლია განსაზღვროს საჯარიმო თანხის ოდენობა, რაც მცდარი შეფასებაა. ძირითადი პრობლემა, რაც საპატრულო პოლიციასთან მიმართებაში იკვეთება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას დაწესებულ მაღალ ჯარიმებს და მძღოლების მიერ პატრულის თანამშრომლების უფლებამოსილების შესახებ არაადეკვატურ წარმოდგენებს ეხება. „ახალი თაობა“ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელს, თინათინ ნიბლოშვილს ესაუბრა:

— ქალბატონო თინათინ, რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ამ თემით?

— ზოგადად ეს თემა ძალიან გვტკიოდა. 2003 წლიდან დღემდე საპატრულო პოლიციის მიმართ საზოგადოებას გარკვეული სახის წარმოდგენები გააჩნდა, რომელიც პოლიტიკურ ძალებთან ასოცირდებოდა. ეს მართლაც ასე იყო და გვინდა დღეს აღდგეს ძალოვან უწყებასა და მოსახლეობას შორის მშვიდობა და სხვა თვალით შეხედოს საზოგადოებამ ძალოვნებს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეიცვალა მიდგომა საზოგადოებასთან და ვაკეთებთ მესიჯს, რომელიც ძალიან სწორად უნდა მივიდეს საზოგადოების ყურამდე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა თუ რამდენად შესაბამისია, მძღოლების შეფასებით, საჯარიმო თანხების ოდენობა კონკრეტული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან. კვლევა მიზნად ისახავდა მძღოლების აღქმისა და ნეგატიური დამოკიდებულების განსაზღვრის დონეს.

— რა აქცენტები გაკეთდა კითხვარში?

— დავინტერესდით, ერთი თვის და ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ რამდენჯერ დაჯარიმდნენ და რა თანხით? რამდენად სამართლიანად აღიქვამდნენ ამ ჯარიმას და მიიჩნევდნენ თუ არა, რომ საპატრულო პოლიციელს უფრო ნაკლები ოდენობის ჯარიმის გამოწერა შეეძლო. ასევე, რის საფუძველზე იწერებოდა ჯარიმა.



კვლევის მიმდინარეობისას გამოიკითხა 117 დაჯარიმებული ავტომობილის მძღოლი. გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება, რის გამოც კვლევამ შეიცვალა მნიშვნელობა. გამოკითხულთაგან 105 მძღოლი აცხადებდა, რომ მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, 9 განაცხადა, რომ გარკვევით არ ჩანდა ან არ იყო მონიშნული საგზაო ნიშანი და, შესაბამისად, ის არ უნდა დაეჯარიმებინათ, 3-ის განცხადებით კი მას წესები არ დაურღვევია და საპატრულო პოლიციამ უმიზეზოდ დააჯარიმა. 92-მა განაცხადა, რომ პოლიციელს შეეძლო ნაკლები ჯარიმის გამოწერა, თუმცა „ბიუჯეტი შესავსებია და ასე ავალებენ“. 11-მა კმაყოფილება გამოთქვა დაბალი ჯარიმის გამოწერის გამო.

— ესე იგი, მძღოლები მაინცდამაინც არ აკრიტიკებდნენ საპატრულო პოლიციას?

— როგორც კვლევის დაწყებამდე ვვარაუდობდით, რომ მძღოლები გააკრიტიკებდნენ მაღალ საჯარიმო სანქციებს და ამავდროულად დაასაბუთებდნენ მათ კრიტიკას, მცდარი აღმოჩნდა. შედეგად მივიღეთ, რომ მძღოლების აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, თითქოს საპატრულო პოლიციის წარმომადგენელს ინდივიდუალურად შეუძლია განსაზღვროს საჯარიმო თანხის ოდენობა. ეს გვიჩვენებს, რომ მძღოლების შეფასება საჯარიმო სანქციებთან მიმართებაში მცდარია, რადგან ისინი არ არიან შესაბამისად ინფორმირებულნი. არ იციან, რომ ჯარიმის ოდენობა რეგულირდება კანონმდებლობით, თუმცა მიიჩნევენ, რომ საპატრულო ეკიპაჟი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში თუ რომელი მოძრაობის წესის დარღვევაზე რა ჯარიმა გამოწეროს.

აღნიშნული კვლევით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მძღოლების სამოქალაქო თვითშეგნების დაბალი დონე და სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპების არცოდნა. მათთვის ერთი მხრივ გაუგებარია, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო სანქციები დეტალურადაა გაწერილი საქართველოს კანონში მოძრაობის წესების შესახებ. კანონს კი იღებს, ცვლის ან აუქმებს საქართველოს პარლამენტი. აღნიშნული ელემენტარული საკითხის უცოდინრობის გამო დაჯარიმებული მძღოლების უკმაყოფილება მაღალია აღმასრულებლის ანუ საპატრულო პოლიციის მიმართ, რომელიც ასრულებს კანონმდებლის დავალებას. საბოლოო ჯამში მძღოლები განაწყენებულნი რჩებიან ძალოვანი სტრუქტურის მიმართ.

— როგორც ჩანს, თქვენ ყველაზე მეტად სწორედ მძღოლების დამოკიდებულება გაწუხებთ პატრულის მიმართ?

— ჩვენი ამოცანა სწორედ ძალოვანი სტრუქტურებისადმი კეთილგანწყობისა და ნდობის ამაღლებაა საზოგადოებაში, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ კარგი საინფორმაციო უზრუნველყოფით. ამისათვის რეკომენდირებულია საგზაო წესების დამრღვევ პირს მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, როგორც დარღვევის, ასევე საჯარიმო თანხის ოდენობის, მისი ლეგალურობის წარმომავლობის და კანონის დამდგენის შესახებ.

უკეთესი იქნება თუ პოლიცია დასაჯარიმებელ პირს განუმარტავდა, საქართველოს კანონმდებლობის რომელი მუხლის შესაბამისად იქნა დაჯარიმებული, და უსასყიდლოდ გადასცემდა 12 გვერდიან სამახსოვრო დოკუმენტს, სადაც მოცემული იქნებოდა საგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში ყველა სახის საჯარიმო თანხის ოდენობა. სასურველია ეს ღონისძიება მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდეს.

სასურველია ასევე ყველა საპატრულო ეკიპაჟს ჩაუტარდეს მცირე ტრენინგი დასაჯარიმებელ პირთან ქცევის წესების შესახებ. აუცილებელია სწორად იქნას მიწოდებული ინფორმაცია მძღოლისთვის. თითოეული მძღოლი ინდივიდია, მათი განათლების დონე, ინფორმაციის აღქმის უნარი მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს ყველა კუთხეში და მნიშვნელოვანია საპატრულო ეკიპაჟის თანამშრომლები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ინფორმაციის გაცემის კუთხით.

— ფიქრობთ, რომ ამ ღონისძიებებით ნეგატიური დამოკიდებულება შემცირდება პატრულის მიმართ?

— რეკომენდაციის ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში დაჯარიმებული მძღოლების ნეგატიური დამოკიდებულების დონე შემცირდება საპატრულო პოლიციის მისამართით. ისინი გააცნობიერებენ, რომ ჯარიმების ოდენობას არ ადგენს საპატრულო ეკიპაჟი. მიგვაჩნია, რომ ამ რეკომენდაციისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელებით საზოგადოების კეთილგანწყობა მეტად ამაღლდება შსს სამინისტროს მისამართით.

# კახა კალაძე: „პიროვნულ თანაგრძნობას გამოვხატავ გელა ხვედელიძის მიმართ“

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, ექსპერტების, მინისტრთა კაბინეტის შეფასებით, ადეკვატური.

ირაკლი ღარიბაშვილის პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის ქმედებასთან დაკავშირებით მთავრობის წევრებმა განცხადება გააკეთეს.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა მყისიერი გადაწყვეტილება მიიღო.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, გულდასაწყვეტია, რომ ეჭვმიტანილი სწორედ ის ადამიანია, ვისაც ყველა ვიცნობთ და ვენდობოდით.

— ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ დაკავებული იქნა ისეთი მაღალი თანამდებობის პირი, როგორიც გელა ხვედელიძეა, რომელსაც ბრალად ედება ასეთი დანაშაულის ჩადენა. კადრები იყო წინა ხელისუფლების, მაგრამ ვინც გაავრცელა, იმაზე მყისიერი გადაწყვეტილება მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის გულდასაწყვეტია, რომ ეჭვმიტანილი სწორედ ის ადამიანია, ვისაც ჩვენ ყველა ვიცნობთ და ვენდობოდით, მაგრამ კანონზე ზევით არავინ არ იქნება ამ ქვეყანაში, — განაცხადა ალასანიამ.

როგორც ცნობილია, გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ბრალდებით შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე დააკავეს.

ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, სამწუხაროა ის პროცესები, რისი მონაწილეც შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე გახდა.

კახა კალაძე შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მეგობრულ თანადგომას უცხადებს.

ვიცე-პრემიერი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე კანონის წინაშე ყველა ადამიანის თა-





ნასწორობაზე საუბრობს და მისთვის მიუღებელია კანონის მორგება ისე, როგორც ეს წინა ხელისუფლების პირობებში იყო, — აცხადებს კალაძე.

— მინდა გამოვეხმაურო შინაგან საქმეთა სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს. პირველ რიგში, მინდა ადამიანური, მეგობრული თანადგომა და მხარდაჭერა გამოვუცხადო ირაკლი ღარიბაშვილს იმ რთულ საქმეში, რასაც ხელისუფლებაში მყოფი ადამიანის ცნობიერების შეცვლა და კანონმორჩილება ჰქვია. კანონი ყველასთვის ერთია. ჩვენ არ ვართ ის მთავრობა, რომელიც ამ ქვეყანაში დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას განაგრძობს და კანონს თავის თავზე მოირგებს ან დააიგნორებს. ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი პირი პასუხისმგებელია თავის გადაცდომაზე ან დანაშაულზე ზუსტად ისე, როგორც ნებისმიერი რიგითი მოქალაქე. ასევე მინდა პიროვნული თანაგრძნობა გამოვხატო გელა ხვედელიძის მიმართ. სამწუხაროა ის პროცესები, რისი მონაწილეც ის გახდა, — წერს კალაძე.

# შალვა ნათელაშვილი: „პრეზიდენტობის კანდიდატებო, მოხსენით კანდიდატურა ჩემ სასარგებლოდ!“

შორენა გონგლაძე

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატებს მის სასარგებლოდ კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ნათელაშვილმა გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— მე მოუწოდებ სრულიად ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, დაგვიჭირეთ მხარი საპრეზიდენტო არჩევნებზე, რათა ერთად გადავარჩინოთ ჩვენი ბედკრული სამშობლო. ამიტომაც, ვისაც წამოყენებული აქვს კანდიდატურა, მოხსნას ჩვენს სასარგებლოდ. ჩვენ მზად ვართ შევქმნათ ოპოზიციურ ძალებთან ეროვნული ერთიანობის მთავრობა და ვიფიქროთ დიდი ბლოკზე და ალიანსზე, — აცხადებს ნათელაშვილი. მისივე თქმით, მარგველაშვილი მისი კონკურენტი არ არის.

— მარგველაშვილი არის მარიონეტი თოჯინა, ეს კაცი სტუდენტების გატყავებით არის დაკავებული, — აცხადებს ნათელაშვილი. შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის მხოლოდ ორი კანდიდატია ცნობილი, გიორგი მარგველაშვილი და შალვა ნათელაშვილი.

პირველი ლეიბორისტი სექსუალური უმცირესობის საკითხსაც შეეხო, მისი თქმით, სასიამოვნოა, რომ პრემიერი ივანიშვილი სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს ასე უფრთხილდება. რა დააშავა სექსუალურმა უმრავლესობამ, რომელიც მძიმე დღეშია ჩავარდნილი. ნათელაშვილის თქმით, შს მინისტრის მოადგილე უნდა მოეხსნათ, მაგრამ მისი დაკავება გამართლებული არ არის.

— მე მაინტერესებს, სექსუალურმა უმრავლესობამ რა დააშავა, რომ უსმენდა წინა ხელისუფლება ივანიშვილის ნაყიდი მოსასმენი აპარატებით. მარტო ჩემი მასალები იკავებს ერთ ოთახს მოდულის შენობაში. არავითარი მოსმენები არ უნდა არსებობდეს. ასეთ გადაცდომაზე კი კაცი არ უნდა დაეჭირათ, მით უფრო იმ დროს, როდესაც მთელი მომსმენი პოლიტიკოსები პარლამენტში სხედან და არავინ სთხოვს მათ პასუხს, — აცხადებს ნათელაშვილი.

შალვა ნათელაშვილმა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი წინა ხელისუფლებასთან გარიგებაში დაადანაშაულა.

როგორც ნათელაშვილმა განაცხადა, სტრასბურგის სასამართლოში ის ლეიბორისტული პარტიის საჩივრების ჩაგდებით იყო დაკავებული.

— წულუკიანი იყო სტრასბურგის სასამართლოში სააკაშვილის აგენტი, რათა ჩაეგდო ჩვენ მიერ გაგზავნილი აპელაციები. დენის თუ გაზის ტარიფების შესახებ გაგზავნილი საჩივრები, ყველაფერი წულუკიანმა ჩააგდო სააკაშვილთან კოჰაბიტაციით. ჩემი გული გახეთქა ამ ქალმა სტრასბურგში, ისეთი ხმით მპასუხობდა, მერჩივნა საკუთარი მკვლელი მენახა, — განაცხადა ნათელაშვილმა.



# „აღდგომიდან ამაღლებამდე“ რეგიონებში გადაინაცვლებს

ეკა ირემაშვილი

14 მაისიდან საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ საქართველოს რეგიონებში გადაინაცვლებს. ფესტივალის რეგიონალური ღონიძიებები 14 მაისს ნიქოზში გაიხსნება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, სოლისტი ალექსანდრე კორსანტია (ფორტეპიანო), ნანა ქავთარაშვილი (სოპრანო) და ვიქტორია ჩაპლინსკაია (კონცერტმაისტერი). საკონცერტო პროგრამაშია გრიგის „ჰოლბერგ სიუიტა“, შოპენის ბალადა და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის„ავე მარია“.

31 მაისს ფესტივალი ახმეტას ეწვევა. კონცერტი ქვემო ალვანის კულტურის სახლში შედგება. მასში მონაწილეობას მიიღებენ რეზო კიკნაძე და ჯაზბენდი, გიორგი უშიკიშვილი და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ლაშარი“.

11 ივნისს ოზურგეთში ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება საღამო, რომელიც მაესტრო ნოდარ ანდღულაძის ხსოვნას მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სალომე ჯიქია (სოპრანო), ირინა ალექსიძე (მეცო სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), ვახტანგ ჯაშიაშვილი (ბარიტონი) და კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ევროპული და ქართული ვოკალური მუსიკა.

13 ივნისს ფესმტივალი მონაწილეებითურთ ბათუმში ჩავა, სადაც მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში დასკვნით კონცერტს წარმოადგენს. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სოლისტები ქეთევან ბადრიძე (ფორტეპიანო), სალომე ჯიქია (სოპრანო), ირინა ალექსიძე (მეცო სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), ვახტანგ ჯაშიაშვილი (ბარიტონი) და დირიჟორი დავით მუქერია. ფესტივალის დასკვნითი კონცერტის პროგრამაში გაერთიანებულია არიები ცნობილი ოპერებიდან, შოპენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის №2 და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის „სანქტუს“ და „ტე დეუმ.“

რიგით მერვე საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ თბილისური კონცერტები კონსერვატორიის დიდ დარბაზში 7 მაისს დაიწყო და 12 მაისს დასრულდა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ალექსანდრე კორსანტია. ფესტივალის პირველ ნაწილში, რომელიც მთლიანად დედაქალაქს მოიცავდა, შედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მუსიკალური ნაწარმოებების კრებულის პრეზენტაცია, ფესტვიალის გახსნის საღამოზე მონაწილეობა მიიღეს სოლისტებმა ალექსანდრე კორსანტიამ (ფორტეპიანო), კატია სკანავიმ (ფორტეპიანო), ნანა ქავთარაშვილმა (სოპრანო), ირინა ალექსიძემ (მეცო სოპრანო), მამუკა მანჯგალაძემ (ტენორი), ვახტანგ ჯაშიაშვილმა (ბარიტონი), კონცერტმაისტერმა ვიქტორია ჩაპლინსკაიამ და ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „იმერი“. მორიგი საღამო თენგიზ ამირეჯიბის ხსოვნას მიეძღვნა. მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა“ და სოლისტებმა ალექსანდრე კორსანტიამ (ფორტეპიანო) და გიორგი ხარაძემ (ჩელო). შესრულდა ჰაიდნის კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისთვის, რე მაჟორი, შონბერგის „გასხივოსნებული ღამე“ და მოცარტის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის №21, დო მაჟორი. ამავე ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ალექსი მაჭავარიანის ინსტრუმენტული კონცერტების საღამო, რომელიც კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა და სოლისტებმა კატია სკანავიმ ფორტეპიანო (საბერძნეთი), მარტა აბრაჰამმა ვიოლინო (უნგრეთი), გიორგი ხარაძემ ჩელო (საქართველო-საფრანგეთი) და დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა. საფესტივალო პროგრამა დაეთმო საფორტეპიანო მუსიკის საღამოს და ჩატარდა პიეტრო გატოს კონცერტი, რომელიც შარშან მილანის საერთაშორისო კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი გახდა. მსმენელისთვის მან სკარლატის, შუმანის, დებიუსის და სკრიაბინის ნაწარმოებები შეასრულა.

მსმენელისთვის დაუკრა თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა“ და სოლისტებმა კატია სკანავიმ ფორტეპიანო (საბერძნეთი), მარტა აბრაჰამმა ვიოლინო (უნგრეთი), ვიტალი ნაზაროვმა ჰობოი (რუსეთი), თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო), ჰაიკ ბაბაიანმა (ჩელო) და ნოდარ ჟვანიამ (ალტი). მუსიკოსებმა წარმოადგინეს მოცარტის კვარტეტი ჰობოის, ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსთვის, პულენკის ტრიო ფორტეპიანოს, ჰობოისა და ჩელოსთვის, ალბინონის კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისთვის, ვივალდის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის და ბახის კონცერტი ვიოლინოს, ჰობოისა და ორკესტრისთვის. ფესტივალის თბილისური კონცერტები 12 მაისს დასრულდა და საღამო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას მიეძღნა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა და გუნდმა და სოლისტებმა ნანა ქავთარაშვილმა (სოპრანო), ირინა ალექსიძემ (მეცო სოპრანო), გიორგი ონიანმა



(ტერნორი), გიორგი გაგნიძემ (ბარიტონი), დირიჟორმა ზვიად ბოლქვაძემ და კონცერტმაისტერმა ვიქტორია ჩაპლინსკაიამ. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ალექსი მაჭავარიანის რომანსი „არ დაიდარდო დედაო“, ოთარ თაქთაქიშვილის მინდიას არიები ოპერიდან „მინდია“, ბიძინა კვერნაძის შუშანიკის არია ოპერიდან „იყო მერვესა წელსა“, რევაზ ლაღიძის ლელას არია ოპერიდან „ლელა“, სულხან ნასიძის ვოკალური ციკლი ქართულ პოეზიაზე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნაწარმოებები „ტე დეუმ“ პირველი და მეორე ნაწილი და „სანქტუს“, არანჟირებისა და ორკესტრობის ავტორი ზვიად ბოლქვაძე. კონსერვატორიის ფოიეში მოეწყო სააღდგომო თემატიკაზე შექმნილი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა.

საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ორგანიზატორია „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდი“, სამხატვრო ხელმძღვანელი კი ალექსანდრე კორსანტიაა.

– თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამაღლებაზე, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ. საქართველოს პატრიარქის ეს გამონათქვამი ყოველწლიური ფესტივალის მთავარ აზრობრივ იდეად იქცა და განაპირობა მისი მაღალი პროფესიული დონე. სწორედ ამიტომაც ამ ფესტივალმა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ღირსეული ადგილი მოიპოვა. საქართველოს პატრიარქის რჩევით, ფესტივალი საგანმანათლებლო მისიის მატარებელია და მოძალებული ფსევდო კულტურის ფონზე ახალგაზრდების ცნობიერების სწორად ჩამოყალიბებას ემსახურება. იმთავითვე განისაზღვრა მისი საქველმოქმედო დანიშნულებაც, საღამოებზე დასწრება თავისუფალია. ფესტივალის მთავარი მონაპოვარია მისი საყოველთაობა და მასშტაბი.

უდიდესი საეკლესიო დღესასწაულის აღდგომის შემდგომ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში ქვეყნის საკონცერტო დარბაზები ეთმობა პროფესიონალურ შემოქმედებას, სასულიერო, ხალხურ და კლასიკური მუსიკას, დრამატულ ხელოვნებას, მხატვრობას, პოეზიას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების და მოზარდების შემოქმედებას, ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველ ხელოვანებს და საგანგებოდ ფესტივალში მოწვეულ უცხოელ შემსრულებლებს. შემდეგ კი ფესტივალი ინაცვლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამაღლების დღესასწაულამდე ქართველი და უცხოელი შემსრულებლები ადგილობრივ შემოქმედებით ძალებთან ერთად საერთო-სახალხო ზეიმებს აწყობენ.

# ლევან უჩანეიშვილი მასტერკლასს ჩაატარებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვია ფილმები მისი მონაწილეობით „დამოუკიდებლობის დღე“, „ბლეიდი“, „პრეზიდენტის თვითმფრინავი“, „ვირუსი“, „25-ე საათი“. ქართველმა მსახიობმა მონაწილეობა მიიღო ტელესერიალ „საიდუმლო მასალების“ ერთ-ერთ ეპიზოდში. მას იღებენ რუსეთის კინოსტუდიებიც. ლევან უჩანეიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული რუსულ ფილმებში „ოლიგარქი“, „ადამიანი ამფიბია“, „ჯაშუშების თამაში“, „შავი პრინცი“, „ნადირობა შავ მგელზე“. კინოკარიერაში მისი დებიუტი შედგა ქართულ ფილმში „ქორწინება იმერულად“, რომელსაც უკვე მისი გახმაურებული კინოროლები მოყვა.

ლვან უჩანეიშვილი აღმოჩნდა პირველი ხელოვანი, რომელმაც ქართულ სივრცეში რეპი შეასრულა და ამერიკული „თეფ დენსი“ გადაიღო. მისი ნამუშევარი პირველად, სახალხოდ სპორტის სასახლეში საღამოზე „მღერიან ქართული კინოს ვარსკვლავები“ იქნა წარმოდგენილი.

ბოლო პერიოდში ქართველი მსახიობი საქართველოში არც თუ ისე ხშირად ჩამოდის, მაგრამ მისი ჩამოსვლა ყოველთვის რაღაც ღონისძიებასთან არის დაკავშირებული. ლევან უჩანეიშვილი მოწვეული იყო „ცეკვავენ ვარსკლავების“ ჟიურის წევრად, სადაც თავის კოლეგებთან ერთად კონკურსანტებს აფასებდა და რჩევებსაც აძლევდა. როგორც მსახიობმა აღნიშნა, ამ პროექტში ნინო ანანიაშვილის თხოვნით მოხვდა. მსახიობი ასევე მონაწილეობას იღებდა პროექტში „ქალაქური მელოდიები“, რომელიც მთელი ქართული კულტურის თვალსაჩინო ადამიანებს აერთიანებდა. მასთან ერთად სპეციალურად ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად გერმანიიდან საქართველოში ჩამოდიოდა მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილიც.

მსახიობობის პარალელურად, ლევან უჩანეიშვილმა რეჟისორობაც სცადა და ფილმი არც მეტი, არც ნაკლები სალვადორ დალიზე გადაიღო, რომელსაც „დალი, დალი, დალი“ უწოდა. ამ ფილმში ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე და ქეთი პაპავა მონაწილეობენ. მაფთი ფილმში მონაწილეობა კი სალვადორ დალის სახლში არსებულმა სამი გედის ფიტულმა განაპირობა. მათი ნახვის შემდეგ, ლევან უჩანეიშვილმა მათი გაცოცხლება სამი ბალერინას საშუალებით გადაწყვიტა. სამივე ბალერინამ სამი მომაკვდავი გედი განასახიერა.

ლევან უჩანეიშვილმა თავის ძმასთან ერთად ჩამოაყალიბა კომპანია „ტურფა“, რომელმაც მიზნად დაისახა დამწყები და ნიჭიერი მსახიობების პოპულარიზაცია. ამ კომპანიის სახელით ძმები ფილმებსაც იღებენ და გადაწყვეტილი აქვთ კომპანია „ტურფას“ სახელობის პრიზი დააწესონ, რომელც ყველაზე ტელეგენური გარეგნობის მქონე მონაწილეს გადაეცემა.

ლევან უჩანეიშვილმა ქართველ მსახიობსა და მწერალთან გივი სიხარულიძესთან ერთად დაგეგმა პროექტის განხორციელება, რომელიც გივი ჩიხარულიძის ერთ– ერთი წიგნის „სტეინვეის როიალის“ მიხედვით განხორციელდება. მსახიობმა გადაწყვიტა ნაწარმოები ავტორთან ერთად პიესად აქციოს, დადგას სპექტკლები ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ ფილმიც გადაიღოს.

# ოთარ მეღვინეთუხუცესი — მაგალითი თაობებისთვის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კინოში, რომლებიც დაუვიწყარია ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა რა თქმა უნდა, გამორჩეულია მისი დათა თუთაშხია, ეს პერსონაჟი ყველამ ძალიან შეიყვარა. ის ჩემი მეგობარი იყო, საოცარი ადამიანი, თბილი, სიმართლის მთქმელი და თავისი საქმის პროფესიონალი.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

– კაცური კაცი, ერთგული მეგობარი და საოცრად ნიჭიერი ადამიანი. საწყენია, რომ წავიდა ჩვენგან და დატოვა ეს სამყარო. ის ქართული კინოსა და თეატრის ნამდვილი არტისტი იყო, ნიჭიერი, პროფესიონალი და თავდაუზოგავი.

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მსახიობი და პირველ რიგში პიროვნება, რომელსაც ჰქონდა თავისი სათქმელი ცხოვრებაში. ის იქ იყო ყოველთვის, სადაც ტკიოდა საქართველოს. ასეთი მძიმე ავამდყოფი დადიოდა საქართველოში, უცხოეთში და ამბობდა თავის სათქმელ სიტყვას. მისი წარმატებების უშუალო მომსწრე ვარ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ოთარი იყო ადამიანი, რომლის ფასსაც მოგვიანებით გავიგებთ.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# სამეული დალაგდა, ელიტაში დასარჩენად ერთი ტური დარჩა

**ტორპედო – დილა 5:4**

**ქუთაისი.** ცენტრალური

1:0 კუხიანიძე (13პ), 2:0 ფანცულაია (17), 2:1 გვალია (29), 2:2 აბურჯანია (34), 2:3 არაბული (39), 3:3 დოლიძე (54), 3:4 არაბული (60), 4:4 დოლიძე (71), 5:4 ფანცულაია (81)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, რიგვავა, ზ.ჭელიძე, გ.გურული, ტაბატაძე, ფანცულაია, გიგაური, კუხიანიძე, გ.დათუნაიშვილი (ფირცხალავა 69), დოლიძე (კაკუშაძე 90), ტუღუში (მარკოზაშვილი 61)

**დილა:** შეყრილაძე, გოგინაშვილი, ი.ლომიძე, ლ.ლომიძე, არაბული, მნათობიშვილი (ხორგუაშვილი 76), რამოსი, გვალია, ილურიძე, გორელიშვილი, აბურჯანია (მამუჩიშვილი 87)

მატჩი თვალსასეირო სანახავი გამოდგა – 9 გოლი და კიდევ უამრავი სახიფათო მომენტი. დებიუტშივე ჩანდა, რომ მეტოქენი შემტევ სტილს ამჯობინებდნენ.

მე-13 წუთზე ილია ლომიძემ საკუთარ საჯარიმოში ფანცულაია წააქცია და არბიტრმაც თერმეტმეტრიანი დანიშნა. კუხიანიძემ ზუსტად დაარტყა მეკარისგან მარცხენა კუთხეში – 1:0.

რამდენიმე წუთში მასპინძლებმა თავიანთი უპირატესობა გაზარდეს. ფანცულაია გორელთა საჯარიმოში შეიჭრა, მეკარეს გაცდა და უმახვილესი კუთხიდან დაარტყა – 2:0.

ამის შემდეგ სტუმართა რიგი დადგა – ქუთაისში ახალგაზრდული შემადგენლობით ჩასული გორელები ისე აბურთავდნენ, გეგონებოდათ უმაღლეს ლიგაში თამაში მათთვის უცხო სულაც არ ყოფილიყო.

პირველი გოლი „დილას" მხრიდან გვალიამ გაიტანა – გორელთა ნახევარმცველმა პასი ტორპედოელთა საჯარიმოში მყოფი ილურიძისგან მიიღო, შეუჩერებლივ დაარტყა, ბურთი გზად ოდნავ შეეხო ერთ-ერთ ტორპედოელს და მიგინეიშვილს შანსი არ არ ჰქონია – 2:1.

მალე გორელებმა ქუთაისელთა ნახევარზე მშვენიერი რამდენიმესვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც აბურჯანიას გამოზომილი და ზუსტი დარტყმით დასრულდა – 2:2.

მე-40 წუთზე გორელიშვილს მიეცა „ტორპედოს" საჯარიმოში დარტყმის საშუალება. მიგინეიშვილმა ბურთი უკუაგდო, მაგრამ მისი კარის წინ მდგარმა არაბულმა თავით იყოჩაღა – 2:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს. 54-ე წუთზე გრიგოლ დოლიძემ ისეთი გოლი გაიტანა, რომელზეც ხელს მსოფლიოს ნებისმიერი ვარსკვლავი მოაწერდა. ქუთათურთა ნახევარმცველმა ბურთი აუტიდან მიიღო, „დილას" საჯარიმოში შეჭრილმა მახვილი კუთხიდან შეყრილაძეს აუღებელი დაურტყა და ბურთი „ცხრიანში" გაახვია – 3:3.

ქუთაისელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა. მე-60 წუთზე ისევ არაბულმა ითამაშა მასპინძელთა საჯარიმოში ხეირიანად, აჯობა დუელში გიორგი გურულს და ზუსტი დარტყმით დუბლი გაიფორმა – 3:4

69-ე წუთზე ქუთაისელთა დამრიგებელმა გია გეგუჩაძემ მოედანზე ნიკა ფირცხალავა შეუშვა, რომელმაც თავისი გუნდის წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა. სწორედ მისი ასისტენტობის წყალობით შეძლეს გატანა დარჩენილ დროში დოლიძემ და ფანცულაიამ. 71-ე წუთზე ნიკამ ჯერ საჯარიმოში მყოფი დოლიძე მოძებნა, რომელმაც დუბლი გაიფორმა, შემდეგ კი იგივე ფანცულაიამ გაახერხა– 5:4. ამ გოლმა კი „ტორპედოს" ბრინჯაოს მედლები ოფიციალურად გაუფორმა.



ვალდას ივანაუსკასი (დილა):

– ორივე გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, რაც ძალიან კარგია. ჩვენი ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორებულა. არადა ვფიქრობ, რომ „დილას" დაკარგვით ქართული ფეხბურთი მნიშვნელოვნად დაზარალდება.

**გურამ ასპინძელაშვილი (ტორპედო):**

– ისეთ განწყობაზე იყო გუნდი, მეტოქეს 6 გოლი რომ გაეტანა, ჩვენ ალბათ 7-ს გავიტანდით. ვულოცავ ქუთაისლებს „ტორპედოს" ბრინჯაოს მედლებს. მომავალში იმედია უკეთეს ადგილს დავიკავებთ.

**ჩიხურა – დინამო (თბ) 2:4**

**ივანწმინდა.** ცენტრალური

1:0 დეკანოიძე (26), 1:1 გრაიციარი (38), 1:2 ჩისკო (43), 1:3 მერებაშვილი (45), 1:4 კოტო (57). 2:4 საჯაია (85)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ლ.ჭელიძე, ჩიკვაიძე (ქიმაძე 16), დიღმელაშვილი (კირკიტაძე 60), ლომაშვილი, გოცირიძე, დეკანოიძე, ძამსაშვილი, ნ.კვასხვაძე (გ.ჩხეტიანი 90), ბ.საჯაია, დ.ბოლქვაძე

**დინამო:** ზარქუა, გველესიანი, ხმალაძე (ძარია 80), კოტო (გლიშიჩი 80), პაპავა, მენდი, მილხრაუმი, უსტარიცი, მერებაშვილი, გრაიციარი (ტატანაშვილი 70), ჩისკო

თასის ფინალის წინ გუნდებმა გენერალური რეპეტიცია გაიარეს. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ „დინამომ" ტაიმის ბოლოს, 7-წუთიან მონაკვეთში 3-ჯერ მოახერხა მეტოქის კარის აღება.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და საბოლოოდ – 2:4.

**ზესტაფონი – ზუგდიდი 2:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0, 2:0 გორგიაშვილი (29, 71)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, იელიჩი, გაგოშიძე, ენდელაძე, ბაბუნაშვილი, შარიქაძე, კუტალია, გორგიაშვილი (სამუშია 87), აფციაური (ჭანკოტაძე 57), დემელი (სარდალიშვილი 69)

**ზუგდიდი:** ძაგანია, ქვარცხავა, ხუხია, აქუბარდია, კანკია, სიხარულია (ქანთარია 87), ხუბუა, წურწუმია, გუგუჩია (მალანია 69), შ.ლომია (ფარჯიკია, 69) ეხვაია

დასკვნით ეტაპზე როგორც იქნა იმარჯვა „ზესტაფონმა". მატჩი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და თორნიკე გორგიაშვილის დუბლმა იმერლებს გამარჯვება მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი 1-6 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 31 | 23 | 6 | 2 | 82-22 | 75 |
| 2.დილა | 31 | 21 | 2 | 8 | 56-26 | 65 |
| 3.ტორპედო | 31 | 18 | 7 | 6 | 53-29 | 61 |
| 4.ჩიხურა | 31 | 17 | 6 | 8 | 49-34 | 57 |
| 5.ზესტაფონი | 31 | 12 | 6 | 13 | 34-32 | 42 |
| 6.ზუგდიდი | 31 | 10 | 6 | 15 | 30-48 | 36 |

**დინამო (ბთ) – კოლხეთი 2:2**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ჩიმაკაძე (29), 1:1 კვანტალიანი (40), 2:1 ჩიმაკაძე (59), 2:2 კვანტალიანი (68)

**დინამო:** პიცანი, ჟვანია, ფარტენაძე, ლობჟანიძე, მახარაძე (ბაჯელიძე 85), მუჯირი, კოშკაძე (თევდორაძე 74), დიასამიძე (გაბუნია 80), ჩიმაკაძე, კიკნაველიძე, მაკარიანი

**კოლხეთი:** ხარშილაძე, კილასონია, ჩადუნელი, ცხვიტარია, კაკულია, როსინი (კახიძე 64), ჯანაშია, წაბრია (გულუა 80), რუსია (ქორჩილავა 68), კვანტალიანი, ხოშტარია

მასპინძლებს ჰაერივით სჭირდებოდათ მოგება, ფოთელებს კი ხელი უკვე ჩაქნეული აქვთ, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს და ბესიკ ჩიმაკაძის დუბლს შალვა კვანტალიანმა ანალოგიურად უპასუხა.

**სიონი – მეტალურგი 2:2**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანია

1:0 სვანიძე (7), 1:1 გეწაძე (60), 2:1 ახალაია (86), 2:2 ლობჟანიძე (90)

**სიონი:** მერლანი, ელიავა, სვანიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, ჰაიდუჩეკი, ნემსაძე, ცხადაია (მანწკავა 68), ლექვთაძე (ბიბილეიშვილი 69), მიკუჩაძე, უგულავა (ახალაია 65)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ქავთარაძე, მახვილაძე, სიხარულიძე, ფიფია, ინწკირველი, რაზმაძე, ჯაფარიძე, გეწაძე, სუხიაშვილი, საჯაია (ლობჟანიძე 89)

ქობულეთური მატჩის მსგავსად ანალოგიური სიტუაცია იყო ამ მატჩშიც. ბოლნისელებს მოგება ელიტაში ტოვებდა, მაგრამ უმოტივაციო „მეტალურგმა" ბოლო წამს საგზური ხელიდან გამოგლიჯა.

**ვიტ ჯორჯია – მერანი 0:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, მჭედლიშვილი, კასრაძე, ადამაძე, უბილავა, ვასაძე (დავლაშელიძე 80), გურეშიძე, ჯავაშვილი (სოფრომაძე 73), კორიფაძე, ღიბრაძე (გოგიაშვილი 84), კუხალეიშვილი

**მერანი:** მუჯრიშვილი, ღონღაძე (გეგეჭკორი 46), ქარქუზაშვილი, იობაშვილი, ხუბუა, მელიავა, დიდავა, ბუკია, ფონიავა (ს.ლომია 53), კუჭუხიძე (ტორონჯაძე 82), ბანება

უგოლო ფრემ ორივე გუნდი გაახარა – „ვიტ ჯორჯია" და „მერანი" გაისად ისევ ელიტაში ითამაშებენ.

**სატურნირო ცხრილი 7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.მეტალურგი | 31 | 12 | 8 | 11 | 29-34 | 44 |
| 8.მერანი | 31 | 10 | 4 | 17 | 30-49 | 34 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 31 | 8 | 9 | 14 | 25-40 | 33 |
| 10.სიონი | 31 | 7 | 9 | 15 | 29-50 | 30 |
| 11.ბათუმი | 31 | 7 | 7 | 17 | 38-55 | 28 |
| 12.კოლხეთი | 31 | 2 | 8 | 21 | 20-56 | 14 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო თბ) – 22; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 19; საბა ლომია (მერანი).

# ფინალისტები გაირკვა

**ქუთაისი – შსს აკადემია 61:65**

სუპერლიგის ორივე ფინალისტი ცნობილია. სეზონის მთავარი ტიტულისთვის ერთმანეთს „ოლიმპი" და „შსს-აკადემია" შეხვდებიან.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება – არც ერთ ამ გუნდს აქამდე ქვეყნის უმთავრესი საკალათბურთო ტიტული არ მოუგიათ.

აღსანიშნავია, რომ „შსს-აკადემიას" ფინალში გასვლა საკმაოდ გაუჭირდა. ქუთაისელებმა ბოლომდე იბრძოლეს და პირველი საშინაო უიმედო მარცხის შემდეგ გამარჯვების საკმაოდ რეალური შანსი ჰქონდათ, თუმცა აკადემიელებმა მობილიზებით ჩაატარეს ნახევარფინალის მე-4 ჯახი, 65:61 გაიმარჯვეს და სერია 3:1 მოიგეს.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წუთებზე გადაწყდა. მანამდე კი მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მცირე უპირატესობას ჯერ ქუთაისელები ფლობდნენ, შემდეგ – შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის წევრები, მესამე პერიოდში კი მასპინძლებმა ისევ იძალეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 5 ქულით – 47:42 დაწინაურდნენ.

ბოლო მეოთხედში სტუმრებმა ტემპს და სიზუსტეს უმატეს. დეონტა ვონის წინამძღოლობით აკადემიელებმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ვონმა იმ 13 ქულიდან, რომელიც ამ მატჩში მოიპოვა, 11 ბოლო პერიოდზე მოდის. ამერიკელი უკანახაზელის აქტიურობას მასპინძლებმა ეფექტური ვერაფერი დაუპირისპირეს და საბოლოოდ 61:65 დამარცხდნენ.

გამარჯვებულთაგან 13-13 ქულა სამმა კალათბურთელმა მოაგროვა – ვონმა, კირკ არჩიბექმა და მერაბ ბოქოლიშვილმა. 12 ქულა ჰქონდა ბენჟამინ რეიმონდს. მასპინძლებს 24 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა, ხოლო რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

ფინალური სერიის მატჩები 20, 21 და 23 მაისს გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში მატჩები 24 და 26 მაისს ჩატარდება. ყველა შეხვედრას თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. ეს თამაშები გადაწყვეტენ, საქართველოს ჩემპიონატის 2012-13 წლის სეზონის ჩემპიონი „შსს-აკადემია" იქნება თუ „ოლიმპი".

მე-3 ადგილისთვის მატჩი „ქუთაისი" თბილისში „არმიას" დაუპირისპირდება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-ტოტენჰემი ........................ 1:2
ქპრ-ნიუკასლი ........................ 1:2
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი ............ 4:0
სანდერლენდი-საუთჰემპტონი ...... 1:1
ფულემი-ლივერპული .................. 1:3
ევერტონი-ვესტ ჰემი ................... 2:0
მანჩესტერი-სუონსი ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 37 | 28 | 4 | 5 | 81-38 | 88 |
| 2.სიტი | 36 | 22 | 9 | 5 | 62-31 | 75 |
| 3.ჩელსი | 37 | 21 | 9 | 7 | 73-38 | 72 |
| 4.ტოტენჰემი | 37 | 20 | 9 | 8 | 65-46 | 69 |
| 5.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 67-36 | 67 |
| 6.ევერტონი | 37 | 16 | 15 | 6 | 54-38 | 63 |
| 7.ლივერპული | 37 | 15 | 13 | 9 | 70-43 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 14 | 6 | 17 | 48-52 | 48 |
| 9.სუონსი | 37 | 11 | 13 | 13 | 47-48 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 10 | 16 | 41-51 | 43 |
| 11.სტოკი | 37 | 9 | 14 | 14 | 33-44 | 41 |
| 12.ნორვიჩი | 37 | 9 | 14 | 14 | 38-56 | 41 |
| 13.ნიუკასლი | 37 | 11 | 8 | 18 | 45-67 | 41 |
| 14.საუთჰემპტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 48-59 | 40 |
| 15.ფულემი | 37 | 10 | 10 | 17 | 47-60 | 40 |
| 16.ასტონ ვილა | 37 | 10 | 10 | 17 | 45-67 | 40 |
| 17.სანდერლენდი | 37 | 9 | 12 | 16 | 41-53 | 39 |
| 18.უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 44-67 | 35 |
| 19.რედინგი | 36 | 6 | 10 | 20 | 41-67 | 28 |
| 20.ქპრ | 37 | 4 | 13 | 20 | 30-59 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ვალენსია ........................... 0:4
ბეტისი-სელტა ............................. 1:0
ატლეტიკო-ბარსელონა ............... 1:2
მალაგა-სევილია ......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 29 | 4 | 2 | 107-38 | 91 |
| 2.რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4.ვალენსია | 35 | 17 | 8 | 10 | 62-50 | 59 |
| 5.სოსიედადი | 34 | 16 | 10 | 8 | 62-43 | 58 |
| 6.მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7.ბეტისი | 35 | 15 | 7 | 13 | 52-54 | 52 |
| 8.სევილია | 35 | 13 | 8 | 14 | 52-47 | 47 |
| 9.ხეტაფე | 35 | 13 | 8 | 14 | 42-52 | 47 |
| 10.რაიო | 35 | 14 | 4 | 17 | 43-61 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 35 | 11 | 11 | 13 | 43-47 | 44 |
| 12.ვალიადოლიდი | 35 | 11 | 10 | 14 | 46-50 | 43 |
| 13.ლევანტე | 35 | 11 | 9 | 15 | 36-53 | 42 |
| 14.ბილბაო | 35 | 11 | 8 | 16 | 40-61 | 41 |
| 15.ოსასუნა | 35 | 9 | 9 | 17 | 29-42 | 36 |
| 16.გრანადა | 34 | 9 | 8 | 17 | 30-51 | 35 |
| 17.სარაგოსა | 35 | 9 | 7 | 19 | 35-53 | 34 |
| 18.დეპორტივო | 35 | 7 | 11 | 17 | 44-66 | 32 |
| 19.სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |
| 20.მალიორკა | 35 | 7 | 8 | 20 | 38-70 | 29 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ვილიარეალი ........... 1:3
რასინგი-რეალი ბ ......................... 1:0

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-ინტერი .............................. 0:0
კიევო-ტორინო ............................. 1:1
ფიორენტინა-პალერმო ................ 1:0
ლაციო-სამპდორია ...................... 2:0
ნაპოლი-სიენა ............................. 2:1
უდინეზე-ატალანტა ..................... 2:1
პარმა-ბოლონია ........................... 0:2
მილანი-რომა ............................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 27 | 6 | 4 | 69-21 | 87 |
| 2.ნაპოლი | 37 | 23 | 9 | 5 | 72-34 | 78 |
| 3.მილანი | 37 | 20 | 9 | 8 | 65-38 | 69 |
| 4.ფიორენტინა | 37 | 20 | 7 | 10 | 67-43 | 67 |
| 5.უდინეზე | 37 | 17 | 12 | 8 | 54-43 | 63 |
| 6.ლაციო | 37 | 18 | 7 | 12 | 51-41 | 61 |
| 7.რომა | 37 | 17 | 8 | 12 | 69-55 | 59 |
| 8.კატანია | 37 | 15 | 10 | 12 | 48-44 | 55 |
| 9.ინტერი | 37 | 16 | 6 | 15 | 53-52 | 54 |
| 10.პარმა | 37 | 12 | 10 | 15 | 42-45 | 46 |
| 11.კიევო | 37 | 12 | 8 | 17 | 35-50 | 44 |
| 12.კალიარი | 37 | 11 | 11 | 15 | 42-55 | 44 |
| 13.ბოლონია | 37 | 11 | 10 | 16 | 46-52 | 43 |
| 14.ატალანტა | 37 | 11 | 8 | 18 | 37-54 | 39 |
| 15.სამპდორია | 37 | 10 | 10 | 17 | 40-49 | 39 |
| 16.ტორინო | 37 | 8 | 15 | 14 | 44-53 | 38 |
| 17.ჯენოა | 37 | 8 | 13 | 16 | 38-52 | 37 |
| 18.პალერმო | 37 | 6 | 14 | 17 | 33-51 | 32 |
| 19.სიენა | 37 | 9 | 9 | 19 | 35-55 | 30 |
| 20.პესკარა | 37 | 6 | 4 | 27 | 26-79 | 22 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალენი-დინამო ................................ 3:0
კიოლნი-ჰერტა ................................ 1:2

***ჰერტას პირველი გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა***

პადერბორნი-მიუნხენ 1860 ........... 2:0
ზ.პაული-ბრაუნშვაიგი ................... 5:1
უნიონი-დუისბურგი ........................ 2:1
ფრანკფურტი-ბოხუმი .................... 2:1
კოტბუსი-ზანდჰაუზენი .................. 3:0
აუე-ინგოლშტადი ........................... 0:1
რეგენსბურგი-კაიზერი ................... 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიანი-სენტ ეტიენი ................... 3:1
ევიანი-ნიცა ................................... 4:0
ლიონი-პსჟ .................................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 36 | 23 | 8 | 5 | 63-21 | 77 |
| 2.მარსელი | 36 | 21 | 7 | 8 | 42-34 | 70 |
| 3.ლიონი | 36 | 18 | 9 | 9 | 58-37 | 63 |
| 4.ლილი | 36 | 16 | 12 | 8 | 58-39 | 60 |
| 5.ნიცა | 36 | 17 | 9 | 10 | 54-45 | 60 |
| 6.სტ. ეტიენი | 36 | 15 | 14 | 7 | 57-31 | 59 |
| 7.ლორიანი | 36 | 14 | 11 | 11 | 56-54 | 53 |
| 8.ბორდო | 36 | 12 | 16 | 8 | 38-32 | 52 |
| 9.მონპელიე | 36 | 15 | 6 | 15 | 54-49 | 51 |
| 10.ტულუზა | 36 | 11 | 12 | 13 | 45-46 | 45 |
| 11.ვალანსიენი | 36 | 11 | 12 | 13 | 47-50 | 45 |
| 12.რენი | 36 | 13 | 6 | 17 | 47-56 | 45 |
| 13.ბასტია | 36 | 12 | 7 | 17 | 48-65 | 43 |
| 14.სოშო | 36 | 10 | 10 | 16 | 40-55 | 40 |
| 15.აიაჩო | 36 | 9 | 14 | 13 | 38-48 | 39 |
| 16.რეიმსი | 36 | 9 | 12 | 15 | 32-42 | 39 |
| 17.ევიანი | 36 | 9 | 10 | 17 | 43-51 | 37 |
| 18.ნანსი | 36 | 8 | 11 | 17 | 35-55 | 35 |
| 19.ტრუა | 36 | 7 | 13 | 16 | 41-59 | 34 |
| 20.ბრესტი | 36 | 8 | 5 | 23 | 30-57 | 29 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტილბურგი-ალკმაარი .................... 2:0
ვიტესი-ვენლო ............................... 0:1
გრონინგენი-აიაქსი ........................ 0:2
ზვოლე-დენ ჰააგი .......................... 4:2
ნაიმეგენი-ვალვაიკი ....................... 1:2
როდა-ჰერენვეენი .......................... 1:0
ტვენტე-პსვ .................................... 3:1
უტრეხტი-ერაკლესი ....................... 3:0
ფეინოორდი-ბრედა ....................... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტერეკი-ანჟი .................................. 1:0
როსტოვი-ზენიტი ........................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-ჰიბერნიანი ....................... 1:2
მოზერველი-როსი ......................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სერვეტი ............................ 2:0
თუნი-ლოზანა ................................. 2:0
გრასჰოპერსი-ციურიხი .................. 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ნოიშტადი-ზალცბურგი ................... 0:6

**ბელგია. პროლიგა**

სტანდარდი-ბრიუგე ....................... 2:4
გენკი-ანდერლეხტი ........................ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ფენერბახჩე-გალათასარაი ............ 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი-იიჰლავა ..................... 1:1
სპარტა-ბოლესლავი ...................... 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-შლიონსკი .......................... 3:2
ლეჩნა-რუხი ................................... 4:4

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კრივბასი-ჰოვერლა ....................... 3:0
ჩერნომორეცი-მეტალურგი(ზ)...... 1:1
კარპატი-დნიპრო .......................... 2:4

***დნიპროს მე-4 გოლი სანდრო კობახიძემ გაიტანა***

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-რანდერსი ............ 3:0
ოლბორგი-ბრონდბიუ .................. 1:1
კოპენჰაგენი-ესბიერგი ................. 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-აიკი ................................ 2:1
მიალბი-სირიანსკა ......................... 4:1
დიურგარდენი-მალმიო ................ 3:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ჰაუგესუნდი-ვალერენგა .............. 1:0
ულფი-მიოლდე ............................. 0:0
სონგდალი-ოდ გრენლანდი ......... 2:0
სტრომგოდსეტი-ბრანი ................ 2:0
ტრომსო-სარპსბორგი .................. 5:0
სტარტი-ვიკინგი ........................... 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვპს-კუუპიო .................................. 1:2
მარიეჰამნი-მიუპა ........................ 0:4
როვანიემი-ჯჯკ ............................ 4:0
იარო-ჰონკა .................................. 2:2

**აშშ. მლს**

პორტლენდი-ჩივასი .................... 3:0
ჰიუსტონი-კანზასი ...................... 0:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ლანუსი-ინდეპენდიენტე .............. 0:0
სან მარტინი-არხენტინოსი .......... 2:1
კოლონი-ქილმესი ........................ 0:3
რივერ პლეიტი-ოლ ბოისი .......... 2:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი**

გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო 97:87(ოტ)

**სერიის ანგარიში: 2:2**

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

რეინჯერსი-ვაშინგტონი ............... 1:0

**სერიის ანგარიში: 3:3**

ტორონტო-ბოსტონი ................... 2:1

**სერიის ანგარიში: 3:3**

ანაჰაიმი-დეტროიტი ................... 2:3

**სერიის ანგარიში: 3:4**

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2013, 14 მაისი, №112

# გია ხუხაშვილი გამოძიებას ითხოვს

შორენა გონგლაძე

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც ის მოითხოვს გამოძიებული იქნას ყველა ბრალდება, რომელიც ბოლო პერიოდში მის მიმართ იქნა გაჟღერებული.

„ვიზიარებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადების პათოსს და მოვითხოვ მთელი ამ ისტორიის სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას. გამოძიებულ უნდა იქნას როგორც ჩემი შემხებლობა ამ ბინძური ჩანაწერის გავრცელებასთან, ასევე ყველა იმ და სხვა ბრალდების გარემოებები, რომელიც ისმოდა ჩემი მისამართით მთელი ამ კამპანიის განმავლობაში. გამოძიებულ უნდა იქნას ჩემი მხრიდან ბიზნესთან შესაძლო გარიგებების და მასზე ზეწოლის ყველა ფაქტი, რაზეც იყო საუბარი ამ ხნის განმავლობაში და შესაძლოა იყოს მომავალშიც. ვსაუბრობ ბიზნესზე და არა სახელისუფლებო ბერკეტების ბოროტად გამოყენებით, სახელმწიფო რესურსების პირადი ან პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მითვისებაზე. ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებ, რამდენადაც არ უნდა აწუხებდეს ეს ნაციონალურ მოძრაობას თუ სხვა ინტერესჯგუფებს.

ბოდიშს მოვუხდი ყველა ჟურნალისტს, მაგრამ ამ მომენტიდან გამოძიების დასრულებამდე თავს შევიკავებ საკითხის კომენტირებისგან, რათა ეს არ იყოს აღქმული გამოძიებაზე ზეწოლად, ჩემი „ლეგენდარული" შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მივმართავ თხოვნით ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს, შესწავლილ იქნას ყველა ჟურნალისტის და მედიასაშუალების მოქმედება ამ პერიოდში, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათი ქმედება იმ მინიმალურ სტანდარტებს, რისი დაცვაც აუცილებელია ნებისმიერ მეტნაკლებად ცივილიზებულ საზოგადოებაში.

მივმართავ იმ ჯგუფებს, რომლებიც საუბრობდნენ ჩემზე, არა მხოლოდ ითანამშრომლონ გამოძიებასთან, არამედ გაასაჯაროონ ყველა ის ფაქტი, რომელიც ჩემ შესახებ მათ აქვთ, რათა საზოგადოებას აღარ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები.

ჩვენ ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნორმალური სა-



ხელმწიფოს მშენებლობა არ ნიშნავს მხოლოდ პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლებას. ამისათვის აუცილებელია საზოგადოებამაც იტვირთოს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

დაბოლოს, გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდებები გასცდა იმ ფარგლებს, რაც ითვალისწინებს საჯარო პირის მხრიდან თმენის ვალდებულებას, გამოძიების დასრულების შემდეგ ვიტოვებ უფლებას, დავაყენო ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა ცრუ წყაროს მთელ ამ ისტორიაში", – აღნიშნავს გია ხუხაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, ანდრო ბარნოვმა გამართულ პრესკონფერენციაზე ხუხაშვილი პირდაპირ დაადანაშაულა სხვადასხვა კანონდარღვევებში.

– გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პრემიერ–მინისტრმა ივანიშვილმა მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩინოვნიკი გაწირა, რათა დანარჩენების ბრალეულობა დაეფარა, – განაცხადა ბარნოვმა.

ანდრო ბარნოვი აცხადებს, მას შემდეგ, რაც ფარესაშვილთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, პრემიერმა ყოველგვარი აპელირების გარეშე კადრების ჩაწერასა და გავრცელებაში „ნაციონალური მოძრაობა" დაადანაშაულა. მისივე თქმით, საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა პრემიერის ეს განცხადება და სწორედ საზოგადოების ზეწოლის და „ნაციონალური მოძრაობის" აქტიურობის გამო მოუწია პრემიერს „მსხვერპლის გაღება იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ეს იმიჯი".

ბარნოვის განცხადებით, პრემიერის რეაქცია ეჭვს უჩენს მათ, რომ ის პირადად იყო დაინტერესებული აღნიშნული კადრების გავრცელებასა და პირადად იყო დაინტერესებული რეალობის დაფარვაში, გამომდინარე იქიდან, რომ კორუფციულ სქემაში, რომელზეც ფარესაშვილი საუბრობდა, პრემიერთან დაახლოებული ორი პირი, ხვედელიძის გარდა, ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი ფიგურირებენ.

– ჩანაწერის გამოქვეყნების ბრალი მართლაც მხოლოდ ხვედელიძის კისერზე რომ იყოს, რა ვუყოთ იმ ბრალდებებს, რის გამოც ხვედელიძემ გადაწყვიტა ამ კადრების გავრცელება. ეს რომ უსაფუძვლო ბრალდებები ყოფილიყო, ამას ხომ არ გააკეთებდა, – განაცხადა ბარნოვმა. მისივე თქმით, აქედან გამომდინარე, მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ პრემიერმა მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩინოვნიკი გელა ხვედელიძე გაწირა, ხოლო დანარჩენ ორს, ხუხაშვილს და ნაცვლიშვილს, ხელს აფარებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ამბობს, რომ პრემიერი ცდილობს სიცრუეში აცხოვროს ხალხი, „როგორც თავად ხშირად ადანაშაულებს ოპონენტებს". ბარნოვის მტკიცებით, მთავრობამ ეს ნაბიჯი საკუთარი სახის შენარჩუნების მიზნით გადადგა და თუ მართლა მათი მიზანია სიმართლე დადგინდეს, მოუწოდებს, გამჭვირვალედ აწარმოოს გამოძიება და დეტალურად გამოიძიოს ის ბრალდებები, რამაც ამ ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგა გელა ხვედელიძეს, – განაცხადა ბარნოვმა.

## შემოსავლების სამსახური ბარამბოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 2013 წლის 8 იანვარს, შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე, შპს ,,ნიუ ენერჯი"-ს, შპს ,,ბარამბო"-ს, ლუხუმ კაპანაძის (შპს „ნიუ ენერჯი"-ში წილი 70%), და მისი ძმის უჩა კაპანაძის (შპს ,,ბარამბო"-ში წილი 22,5%) ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების მოთხოვნით, სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

შემოსავლების სამსახურის სასარჩელო განცხადების მოტივაციას წარმოადგენს შემდეგი გარემოება: შპს ,,ნიუ ენერჯი"-ს 2012 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა სოლიდური საგადასახადო დავალიანება - 20878650.57 ლარის ოდენობით. ამასთან საგამოძიებო სამსახურის მოწოდებული ინფორმაციით შპს „ნიუ ენერჯი"-დან სხვადასხვა გზებით სხვადასხვა კომპანიაში შესულია გარკვეული თანხები.

ანალოგიური სამართლებრივი პროცედურები წარიმართა შპს „ნიუ ენერჯი"-სთან ურთიერთდამოკიდებული 18 იურიდიული და ფიზიკური პირის მიმართ.

შემოსავლების სამსახურის განმარტებით, სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემოსავლების სამსახურმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის საფუძველზე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა. საქალაქო სასამართლომ შუამდგომლობა სარჩელის აღძვრის თაობაზე, დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება სააღსრულებო ბიურომ აღასრულა, შესაბამისად, ყადაღა დაედო შპს „ბარამბო"-ს მხოლოდ უძრავ ქონებას. გამომდინარე იქედან, რომ შემოსავლების სამსახურის ორიენტირი საწარმოს საქმიანობის შეფერხება არ არის და არც შეიძლება იყოს, ყადაღა არ დაედო სარეალიზაციო საქონელს, მზა პროდუქციას, წარმოებისათვის აუცილებელ ნედლეულს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, სხვამოძრავ ქონებას და საბანკო ანგარიშებს.

დამატებით განვმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის საფუძველზე, უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება არ ანიჭებს შემოსავლების სამსახურს უფლებამოსილებას განახორციელოს დაყადაღებული ქონების რეალიზაცია.

მედიანიუსი

## ეროვნულ ბანკში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა.

როგორც მან დახურული შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავარი ეკონომიკური პარტნიორია. მასთან კარგი პარტნიორული თანამშრომლობა საქართველოს უკვე მრავალი წელია აკავშირებს. ამჟამად ფონდის მისიასთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი იმართება.

„ამ მოლაპარაკებების მიზანია ადეკვატურად და რეალისტურად შევაფასოთ მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, რათა მზად ვიყოთ ნებისმიერი ტიპის გამოწვევისთვის – როგორც ოპტიმისტური, ისე პესიმისტური სცენარის განვითარებისათვის. საუბარი გვექნება გრძელვადიან გეგმებსა და მოკლევადიან ასპექტებზეც. რაც მთავარია სამომავლოდ ისეთი პარამეტრების შეჯერებას მოვახერხებთ, რომელიც როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე საქართველოს ხელისუფლებისათვის იქნება მისაღები. განვიხილავთ შედეგებს და კვირის ბოლოსთვის ქვეყნება სიცხადე", – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას მარკ გრიფიტსი ხელმძღვანელობს. მისია საქართველოში 22 მაისამდე დარჩება.

მედიანიუსი

## წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პრეპარატები აღმოაჩინეს

წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების შემოსვლის ორი შემთხვევა გამოვლინდა. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის ცნობით, 11 მაისს, აზერბაიჯანიდან საქართველოში, წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, „ოპელის" მარკის ავტომანქანით, საქართველოს მოქალაქეები იბრაგიმ ა. და რამილ ა., ასევე აზერბაიჯანის მოქალაქე გულნაზ მ. შემოვიდნენ.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ეჭვის საფუძველზე, ავტომანქანა დეტალურად დაათვალიერეს. დათვალიერების შედეგად ავტომანქანაში მოთავსებულ ბარგში სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მედიკამენტის – ჩონტრამალ-ის (საერთაშორისო დასახელება თრამადოლ ჩl) – 8 აბი აღმოჩნდა. მეორე ფაქტი იმავე დღეს დაფიქსირდა. ს.გ.პ. ,,წითელ ხიდზე" ფეხით მოსიარულეთა დარბაზში აზერბაიჯანის მოქალაქე ჰიჯრან ა. შევიდა. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ეჭვის საფუძველზე, მოქალაქისა და მისი კუთვნილი ხელბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, ბარგში აღმოჩნდა სავარაუდოდ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები:ტრამალი 2 ამპულა, ტრამადოლი 3 ამპულა, რელანიუმი 2 ამპულა.

საქმის მასალები, შემდგომი მოკვლევის მიზნით, შესაბამის ორგანოს გადაეცა.

მედიანიუსი

## „კამპას" წვენში ნატურალური ნექტარის შემცველობა მითითებულზე 7– ჯერ ნაკლებია

მოხმარებელთა ფედერაციამ კომპანია ,,კამპას" ბროწეულის წვენი შეამოწმა, რის შედეგადაც დაადგინა, რომ „კამპას" წვენში ნატურალური ნექტარის შემცველობა მითითებულზე 7–ჯერ ნაკლებია.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ნაწარმში ნატურალური წვენის შემცველობა დაბალ შეფუთვაში, მთლიანი მასის 14 პროცენტს, ხოლო მაღალ შეფუთვაში 7 პროცენტს არ აღემატება, მაშინ როდესაც შეფუთვაზე მითითებულია, რომ პროდუქტის 50%-ს ბროწეულის ნექტარი შეადგენს.

საერთაშორისო სტანდარტით ბროწეულს ნექტარში ბროწეულის წვენის შემცველობა 25 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, მომხმარებელთა ფედერაციის მიერ შეძენილი ორივე პროდუქტი ბროწეულის ნექტარი კი არა, უბრალოდ წვენის გამოყენებით დამზადებული განზავებული სასმელია.

მომხმარებელთა ფედერაცია მეწარმესთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოში გასაგზავნად წერილებს ამზადებს.

მედიანიუსი

სპორტი

## საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა (1996-1997 წლებში დაბადებულნი) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა!

ჩვენმა გუნდმა თბილისში გამართული საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო და 8-15 სექტემბერს მალტაში, კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელისთვის იბრძოლებს. იოვან პოპოვიჩის ნაკრებმა პირველ ტურში მოლდოვა 16:6, მეორეში კი სლოვაკეთი 13:5 გაანადგურა.

მესამე ტურში ქართველი ახალგაზრდები ერთ-ერთ ფავორიტს, გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. ძალიან დაძაბული შეხვედრა ფრედ 7:7 დასრულდა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი უკანასკნელ ტურში, ჰოლანდიასთან 10:9 გამარჯვების შემდეგ მოიპოვა, თუმცა ჩვენი გუნდი ფრეს შემთხვევაშიც პირველ ადგილზე გავიდოდა, რადგან ამ თამაშამდე გერმანელებმა სლოვაკებთან დაკარგეს ქულები – 6:6.

– საქართველოში მეორედ ჩამოვედი. პირველად თქვენს ქვეყანას აპრილის მიწურულს, ნოდარ გვახარიას თასის გათამაშებისას ვეწვიე. მაშინაც და ახლაც ტურნირების ორგანიზება ფანტასტიკურია. დიდი მადლობა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას, რომელმაც შეჯიბრების მონაწილეებს ასპარეზობისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს, – განაცხადა ტურნირის ბერძენმა დელეგატმა აპოსტოლოს ცანტასმა, რომელიც 12 წლის მანძილზე წყალბურთის მსოფლიო მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი გახლდათ.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 3 | 1 0 | 46:27 | 10 |
| 2.გერმანია | 4 | 2 | 2 0 | 36:20 | 8 |
| 3.სლოვაკეთი | 4 | 1 | 2 1 | 36:32 | 5 |
| 4.ჰოლანდია | 4 | 1 | 1 2 | 25:32 | 4 |
| 5.მოლდოვა | 4 | 0 | 0 4 | 21:53 | 0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართული ტელეკომპანია; 5. ბუნებრივი მინერალური საღებავი, ჯანგმიწა; 6. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. კბილების დაავადება; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო დამსჯელი ორგანო შუა-საუკუნეებში; 4. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 7. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 9. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 16. ძველბერძენი ისტორიკოსი; 17. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კარეტა; 4. მერქანი; 7. გრიალი; 9. როყინი; 11. ალუბალი; 12. ჟანგბადი; 13. ისხარი; 17. პრაიდი; 18. კოპი; 19. ალტიმეტრი; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. კინო; 2. ტვიდი; 3. მეისრე; 5. ემალი; 6. ნალბანდი; 8. ტელევიზორი; 10. კლასიკა; 12. ჟურნალი; 14. მანეჟი; 15. ლიმიტი; 16. ტაიგა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ონი; 2. მირეი; 3. ათანასე; 4. აზრი; 5. მო; 6. სი; 7. აბაჟური; 8. ოსპი; 9. მასრა; 10. დრაფი; 11. ტაქსა; 12. ერ; 13. რე; 14. როკ; 15. კარატე; 16. საქარინი; 17. რეგისტრი; 18. აბი; 19. ტრი; 20. პაროკო; 21. არ; 22. კვიპაროსი; 23. რეი; 24. ამია; 25. ვალი; 26. იდალგო; 27. ავიზო; 28. ვაპორეტო; 29. „მუმუ"; 30. არიოზო; 31. მაკრამე.

**სურათებზე:** ქეით ბექინსეილი; კრისტოფ მეცელდერი.

# ირანის პრეზიდენტს სახალხო გაროზგვა ელის



ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატთა რეგისტრაციის დროს კანონის დარღვევისთვის, შესაძლოა, სახალხოდ 74-ჯერ დარტყმით გაროზგონ, ან ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯონ.

გავრცელებული ინფორმაციით, ირანის მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, საკუთარ მრჩეველს თან ახლდა, როდესაც მან საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად საკუთარი თავი დაარეგისტრირა. ეს ფაქტი ირანში კანონის დარღვევად ითვლება.

კერძოდ, სახელმწიფო ტელეარხის ეთერში ირანის მოქალაქეებმა ნახეს გაღიმებული აჰმადინეჯადი, რომელიც ესფანდიარ რაჰიმ მაშაის გვერდით იმყოფებოდა. პრეზიდენტი სწორედ იმ მომენტში გამოიჭირეს, როცა მრჩეველს ჩასჩურჩულებდა, რომ თუკი აჰმადინეჯადის დასწრების საკითხი წამოიჭრებოდა, უნდა ეთქვა, რომ სახელმწიფოს მეთაურს დასვენების დღე აქვს. ამით, აჰმადინეჯადი კერძო პირად უნდა წარმოჩენილიყო.

ირანის კონსტიტუციის დამცველთა საბჭომ (დამკვირვებელი საბჭო) გამოძიება ჩატარა, რის შემდეგაც გამოცხადდა, რომ აჰმადინეჯადს საბრალდებო დასკვნას წარუდგენენ.

აღსანიშნავია, რომ დამკვირვებელთა საბჭოს პრეზიდენტობის კანდიდატების შემოწმება ევალება, სადაც ესფანდიარ რაჰიმ მაშაიც შედის.

ამ ეტაპზე ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად 686 ადამიანმა დაარეგისტრირა, თუმცა მათ კანდიდატურას მორწმუნე შიიტებისა და იურისტებისგან შემდგარი საბჭო განიხილავს, რომლებიც საბოლოო სიას 22-24 მაისს წარადგენენ. თავად მაჰმუდ აჰმადინეჯადს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს, რადგან ის პრეზიდენტად უკვე ზედიზედ ორჯერ იქნა არჩეული.

არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს „კონსერვატიული“ ბანაკის წარმომადგენელს, ისლამური რევოლუციის ლიდერის, აიათოლა ალი ჰამენეის მომხრეს. სწორედ ჰამენეი არის ირანული სახელმწიფოს ნამდვილი მეთაური.

# დედოფალი ელისაბედ მეორე ტახტის დატოვებას აპირებს

რომის პაპის ბენედიქტ მეთექვსმეტესა და ნიდერლანდების დედოფალ ბეატრიქსის გადადგომის შემდეგ, ვრცელდება ხმები, რომ სადედოფლო ტახტის დატოვებას, 61-წლიანი მმართველობის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორეც აპირებს.



გამოცემა „ფაინენშლ თაიმსი“ მიიჩნევს, რომ ელისაბედ მეორემ საკუთარი უფლებამოსილების პრინც ჩარლზისთვის გადაცემა დაიწყო. ასეთი დასკვნა ჟურნალისტებმა დედოფლის საზღვარგარეთული ვიზიტების გეგმებში შეტანილი ცვლილებების გამო მიიღეს: ელისაბედ მეორე აღარ მიიღებს მონაწილეობას შრი-ლანკაზე, ერთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა ლიდერების სამიტში და მის ნაცვლად იქ უელსის პრინცი გაემგზავრება.

დედოფალი ახლა 87 წლისაა. ბუკინგემის სასახლის პრესსამსახური ირწმუნება, რომ დედოფალი სრულებით ჯანმრთელია.

პარლამენტის გახსნის ცერემონიაზე პრინც ჩარლზისა და მისი მეუღლის მოულოდნელმა გამოჩენამ ასევე გამოიწვია საზოგადოების ეჭვები.

„როგორც ჩანს, უელსის პრინცს მალე მოუწევს კანონპროექტების წარმოდგენის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება“, – წერს გამოცემა.

აღნიშნულ ცერემონიას უკანასკნელად ის 1996 წელს დაესწრო. დედოფალს არაერთხელ მიუნიშნებია, რომ ის გვირგვინის დათმობის კატეგორიული წინააღმდეგია და მოვალეობის სიცოცხლის ბოლომდე შესრულების მომხრეა.

ბრიტანელ მონარქებს შორის, ძალაუფლება ყველაზე დიდხანს დედოფალ ვიქტორიას ჰქონდა. მისი მმართველობის პერიოდი 63 წელს, 7 თვესა და 2 დღეს შეადგენს.

მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მმართველი დედოფალი და სახელმწიფოს მეთაურია; ტახტზე ავიდა 1952 წლის 6 თებერვალს, გვირგვინი დაიდგა 1953 წლის 2 ივნისს. ასევე არის თანამეგობრობის 15 სახელმწიფოს მეთაური, ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და კუნძული მენის ლორდი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ბრაზილიის პოლიციამ კოკაინით სავსე თვითმფრინავი ავტომობილით დააზიანა

ბრაზილიელმა პოლიციელებმა 230 კილოგრამი კოკაინით დატვირთულ თვითმფრინავზე ნარკომოვაჭრეების კონტრაბანდა აღკვეთეს. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სანტა-ვიტორიაში აფრენისას საჰაერო ხომალდი მათ სამსახურეობრივი ავტომობილით დააზიანეს. თავგანწირული წესრიგის დამცველები ნარკომაფიის თვითმფრინავთან პირდაპირ შეჯახებას არ შეუშინდნენ და ამით დამნაშავეებს აფრენაში ხელი შეუშალეს.



პოლიციის ავტომობილიდან გადაღებული დრამატული ვიდეო ჰოლივუდის ბოევიკის კადრებს უფრო ჰგავს, რომელიც ინტერნეტში ნამდვილ ჰიტად იქცა. ვიდეორგოლში გასროლები და პოლიციელების ყვირილის ხმა ისმის.

პოლიციის მანქანა დიდი სიჩქარით მიქრის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე, ეწევა მოძრაობადაწყებულ თვითმფრინავს და გვერდიდან ეჯახება. წესრიგის დამცველების წარმოუდგენელ სიმამაცეს წარმატება მოაქვს, თვითმფრინავი აფრენას ველარ ახერხებს და ჩერდება.

გაზეთ „ჰაფინგტონ პოსტის“ ცნობით, საბოლოოდ ნარკოტიკები ამოღებული იქნა და დააპატიმრეს ხუთი ადამიანი, რომლებიც თვითმფრინავში იმყოფებოდნენ.

მედიის მონაცემებით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბრაზილიური პოლიცია მოძრავ თვითმფრინავს აზიანებს. 2011 წელს ინტერნეტში განათავსეს ვიდეო, რომელზეც პოლიციის ავტომობილი რიბეირან-პრეტუში პატარა თვითმფრინავს ეჯახება და საქარე მინას უზიანებს. მაშინაც ხუთი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს და 200 ათასი დოლარის კონტრაბანდული ტვირთი ამოიღეს.

# ისრაელის პრემიერმა თვითმფრინავში მდიდრულ საწოლზე უარი თქვა



ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ უარი თქვა თვითმფრინავში 138 ათასი დოლარის ორკაციან საწოლზე, რომელიც თელ-ავივიდან ლონდონში გადაფრენისას, მთავრობის მეთაურისთვის და მისი მეუღლის, სარას დასვენებისთვის იყო განკუთვნილი.

ბრიტანული „ტელეგრაფის“ მონაცემებით, მდიდრული საწოლი დიდ ბრიტანეთში ხუთსაათიანი გადაფრენისთვის დააყენეს, სადაც ნეთანიაჰუ 17 აპრილს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის დაკრძალვაში მონაწილეობდა.

მას შემდეგ, რაც საწოლის ღირებულებაზე ინფორმაცია მასმედიაში აღმოჩნდა, ათი ათასი ისრაელელი ქუჩაში გამოვიდა ეკონომიის მკაცრი ზომების წინააღმდეგ, რასაც ქვეყნის მთავრობა მიმართავს.

როგორც მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა განაცხადა, ნეთანიაჰუმ საწოლის ღირებულების შესახებ არაფერი იცოდა. „როგორც კი ამის შესახებ ცნობილი გახდა, პრემიერ-მინისტრმა მომავალი ევროპული რეისებისას მსგავს აღჭურვილობაზე დაუყოვნებლივ უარი თქვა „, – აღნიშნავს წყარო.

# თურქეთის მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობას სირიის რეჟიმის დამხობისკენ მოუწოდებს

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ ბერლინში ვიზიტის დროს საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა სირიის მთავრობის წინააღმდეგ გარკვეული ზომები მიიღონ.

„დროა საერთაშორისო თანამეგობრობამ სირიაში რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით იბრძოლოს“, – განაცხადა აჰმედ დავითოღლუმ.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქვეყანაში მომხდარი ორი აფეთქება, სირიაში არსებულ „ძველი მარქსისტულ ტერორისტული ორგანიზაციას“ უკავშირდება, რომელსაც პრეზიდენტ ბაშარ ასადის ადმინისტრაცია მფარველობს.

თავის მხრივ, სირიის მხარე ინციდენტში მონაწილეობას უარყოფს და თურქეთის მხარეს ცრუ ბრალდებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს.

თურქეთ-სირიის საზღვარზე, ჰათაის პროვინცია ქალაქ რეიხანლიში მომხდარი აფეთქებების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასზე მეტი მძიმედ დაშავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აკეთებს. მისივე განმარტებით თურქი სამართალდამცავებმა ყველა საჭირო ზომა უკვე მიიღეს.

რეიხანლის მერის თქმით, აფეთქება მუნიციპალიტეტისა და ფოსტის შენობებთან განხორციელდა, რამაც მიმდებარე შენობებს დიდი ზიანი მიაყენა. შინაგან საქმეთა მინისტრ მუამერ გიულერის განცხადებით აფეთქების ფაქტი ახლო მომავალში სრულად გამოძიებული იქნება.

ცნობისათვის თურქეთის მთავრობა სირიის ოპოზიციის მხარდამჭერია და ქვეყნიდან ლტოლვილებს ტერიტორიაზე შესვლის უფლებას აძლევს. ათასობით ლტოლვილმა სირია სწორედ რეიხანლის საზღვრის გავლით დატოვა.



თურქეთის პრემიერ მინისტრი რეჯეპ ტაეპ ერდოღანი აცხადებს, რომ თუქეთ-სირიის საზღვარზე მოწობილი აფთექებების სერია, მისი ქვეყნის კონფლიქტში ჩათრების მიზნით განხორცლედა.

თურქეთმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და არ წამოეგოს პროვოკაციებს, განაცხადა ერდოღანმა.

სირიის ინფორმაცის მინისტრის ომრან ზუბის განცხადებით კი, აფეთქებებზე ნაწილობრივი პასუხისმგებლობა თავად თურქეთს ეკისრება, რომელმაც საზღვრისპირა რაიონები „საერთაშორისო ტერორიზმის ცენტრად“ აქცია.

ამ ფონზე, ქალაქ რეიჰანლში მომხდარ აფეთქებებში ეჭვმიტანილი 9 ადამიანი დააკავეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბეშირ ატალაიმ აცნობა. ყველა დაკავებული თურქეთის მოქალაქეა.

„ჩვენ მივაღწიეთ დიდ წარმატებას დამნაშავეების დაკავების მხრივ. კიდევ რამდენიმე ადამიანი იძებნება, მაგრამ მათი ძებნის პროცესი დიდ დროს არ წაიღებს“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა და დაამატა, რომ დაკავებულებს არანაირი კავშირი არ აქვთ სირიასთან ან რეგიონში მცხოვრებ სირიელ ლტოლვილებთან.

ევროკავშირის წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა თურქეთში მომხდარი აფეთქების გამო აღშფოთება გამოთქვა და ტერორისტული აქტი დაგმო. ევროკავშირის დიპლომატმა თურქეთის მთავრობასა და ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა. მისივე თქმით ევროკავშირი მზადაა თურქეთს დაეხმაროს.

„ევროკავშირი ნებისმიერი სახის ტერორისტულ აქტს გმობს და თურქეთის მთავრობასა და ხალხს, მათთვის ამ მძიმე დროს სოლიდარობას ვუცხადებთ“, – განაცხადა კეტრინ ეშტონმა.

## TV პროგრამა

სამშაბათი 14 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე სნაიპერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „აქცენტები„ 23.00 ევროვიზიის I ნახევარფინალი. (პ/ტრ) 01.00 მხ/ფ „დასაწყისი„ (ტიტ.) (ლ. დი კაპრიო) 03.50 პროგრამის დახურვა: ანონსი ბლოკი "ბოლოI ნეხტIტიხარი"

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 2 ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 3 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „შვიდკაცა„ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) 00.15 მხ/ფ „ერთგული მებაღე„ (რ.ფაინსი) 02.35 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 03.00 კურიერი დაიჯესტი ბი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - „ძველი ვოდევილები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „იმერული ესკიზები„ 13.25 კონცერტი - ზაურ ბოლქვაძის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ „წმინდა მეფე თამარი„ 15.55 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.20 მხ/ფ „მოკვეთილი„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩემი ქვეყანა 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 ჩვენი ფონდი 23.30 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან - მეფე თამარი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 12.45, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 5.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესპრესი„(გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 მაისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6445

ევრო — 2,1388

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5312

100 რუსული რუბლი — 5,2907

**ამინდის პროგნოზი 14 მაისისთვის**





25 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“
ერთად
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 2
ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:
ტომი 1. ამერიკული ზღაპრები
გამოსაცემად მზადდება:
ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები
ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# ოთარ მეღვინეთუხუცესი — მაგალითი თაობებისთვის



ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. უკანასკნელ გზაზე იგი ქართული თეატრის და კინოს წარმომადგენლებმა, ოჯახის წევრებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა გააცილეს. თეატრთან არ წყდებოდა იმ მოქალაქეთა რიგი, ვინც მსახიობის ხსოვნას პატივი მიაგო. რეჟისორმა ქეთი დოლიძემ საქართველოს პატრიარქის ილია მეორის წერილი წაიკითხა, რომელიც ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალებას მიეძღვნა. მანვე გააცნო საზოგადოებას სამგლოვიარო წერილები და დეპეშები. რუსეთიდან გამოგზავნილ სამგლოვიარო წერილებს ხელს აწერენ ოლეგ ბასილაშვილი, ალისა ფრეინდლიხი და სხვა ცნობილი რუსი მსახიობები და რეჟისორები. მარჯანიშვილის თეატრი მსახიობის ფოტოებით იყო გაფორმებული. თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი კი ყვავილებით იყო შემკული.

მსახიობი 81 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. იგი მშობლიური მარჯანიშვილის თეატრიდან გაასვენეს. შეკრებილმა საზოგადოებამ ოთარ მეღვინეთუხუცესი უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილა. სამგლოვიარო პროცესიას წინ შავ სუდარაგადაფარებული შავი ცხენი მიუძღოდა.

მსახიობთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახი კალაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ზვიად ძიძიგური, თამარ გვერდწითელი, ანრი ჯოხაძე, ჩოხოსნები, თეატრების მსახიობები. ოთარ მეღვინეთუხუცესის სამუდამო განსასვენებელი რამაზ ჩხიკვაძისა და გურამ საღარაძის საფლავების გვერდითაა.

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი:

— ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო უნიჭიერესი მსახიობი, ასევე, ის იყო უძლიერესი პიროვნება, ძლიერი და ღირსეული მამულიშვილი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო და იბრძოდა მისთვის. მისი ყველა როლიც სწორედ მის ამ ხასიათს უსვამდა ხაზს. ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო ძლიერი, ღირსეული, ვაჟკაცი და სამართლიანი. ასეთი იყო ის და მისი გმირები. მათ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ძიება აერთიანებდათ და თავადაც ასეთი გახლდათ. ოთარ მეღვინეთუხუცესს უამრავი ჯილდო აქვს მოპოვებული. ყველაზე დიდი ჯილდო კი, რომელიც თან მიაქვს, ხალხის სიყვარულია. მის შემოქმედებას თაყვანისმცემლები არასდროს მოაკლდება. მისი გმირების მაგალითზე თაობები გაიზრდებიან და თვითონაც ასეთი დარჩება ხალხის მეხსიერებაში. კიდევ ერთი დიდი კაცი გამოგვაკლდა — ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა. თანაგრძნობას გამოვთქვამ და ვუერთდები ქართველი ხალხის მწუხარებას. ძლიერი და ღირსეული, ვაჟკაცური და რომანტიკული — ასეთი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი და მისი გმირებიც მას ჰგავდნენ.

**დავით უსუფაშვილი, პარალმენტის თავმჯდომარე:**

— ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო უდიდესი მოქალაქე. სამწუხაროდ, უდიდესი ხელოვანი წავიდა ამ ქვეყნიდან და დარწმუნებული ვარ, მისი გარდაცვალება იგლოვა მთელმა საქართველომ. იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც ასეთი სითბო და სიყვარული ჰქონოდა ქართული საზოგადოების მხრიდან.

**ელდარ შენგელაია, რეჟისორი:**

— ოთარმა ისეთი სახეები შექმნა ქართულ თეატრსა თუ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ასტროპროგნოზი**
14 მაისისთვის

**ვერძი** — დღეს თავს ბედნიერად იგრძნობთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია, არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **სასწორი** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — პრობლემას ადვილად გადაჭრით. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლის დროა, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, ჩვეულ გზას გაუყევით. **მერწყული** — ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებთ და წარმატებულიც ხართ. **თევზები** — კარგ ამბებს გაიგებთ, გახარებული ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# შერმადინი ოლიმპიაკოსში ევროლიგის ჩემპიონი გახდა



გიორგი შერმადინი მეორედ გახდა ევროლიგის ჩემპიონი. ქართველმა ცენტრმა მეორედაც ბერძნული გუნდის შემადგენლობაში მოიგო ევროპის ყველაზე ძვირფასი საკლუბო ტიტული. თუკი 2009 წელს ფინალურ მატჩში მას „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში თამაშმა არ მოუწია, ამჯერად მოედანზეც გავიდა და „ოლიმპიაკოსის“ 100:88 გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო.

საჩემპიონო მატჩში შერმადინმა 6,22 წუთი ითამაშა და ყველა ტყორცნა ჩააგდო, რაც კი შეასრულა. ქართველმა ცენტრმა 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და ასეივე წარმატები შეასრულა ორქულიანი ტყორცნაც. შედეგად შერმადინმა 3 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

პირეოსელებს 2 ლიდერი ჰყავდათ — ვასილის სპანულისმა 22 ქულა და 4 პასი, ელის ლოუმ კი 20 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი დააგროვა. გამორჩეულად ითამაშა ოლიმპიაკოსელთა უკანახაზელმა კაილი ჰეინესმა, რომელმაც 12 ქულა, 5 მოხსნა, 3 დაფარება და 3 პასი მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ პირეოსელები შეხვედრას 10:27 აგებდნენ, თუმცა ჩამორჩენა პირველივე ტაიმში მნიშვნელოვნად შეამცირეს, ხოლო მეორეში მადრიდელები ყველანაირად დაჯაბნეს. ოლიმპიაკოსელებმა ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვეს, რაც ბერძნული გუნდისთვის უდიდესი წარმატებაა.

მ. ჟ.

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. ქუთაისური ლუდი; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 7. მემამულის ქონების მმართველი ძველად; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რეზინის ძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. რაიმეს სურვილი, ნდომა; 18. შავი ზღვის ზვიგენი; 19. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 21. მტაცებელი ცხოველი; 24. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 14. სასწავლო დაწესებულება; 15. ამერიკული სიგარეტი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. დედამიწის მანათობელი; 26. მამალი თხა; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამება“-ს ავტორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



# ლევან უჩანეიშვილი მასტერკლასს ჩაატარებს

ეკა ირემაშვილი

ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მსახიობი ლევან უჩანეიშვილი სამშობლოში დარუნდა. 14 მაისს ჰოლივუდში მოღვაწე ხელოვანი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე მასტერკლასს ჩაატარებს.

როგორც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ აღნიშნა, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და პრესის წარმომადგენლებისათვის ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ლევან უჩანეიშვილი უკვე წლებია ჰოლივუდში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მოღვაწეობა დაიწყო როგორც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობმა. უკვე 40 წელია მსახიობს სხვადასხვა რეჟისორები თავის ფილმებში აკავებენ.

ქართული ფილმებიდან მის კინოკარიერაში აღსანიშნავია „კუკარაჩა“ „სპირალი“, „ამბავის სურამის ციხისა“, „27 დაკარგული კოცნა“, „მამაკაცები და სხვები“, „წიგნი ფიცისა“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, „სახლი ლესნაიაზე“. გასული საუკუნის 90-იან წლებში მსახიობმა გადაწყვეტილება მიიღო ამერიკაში საცხოვრებლად წასულიყო. ჰოლივუდური კინოსამყაროს მოღვაწეობაში კი აღსანიშნა-



გაგრძელება მე-8 გვერდზე